ხობის მოამბე

№ 24–25 (7033-34)
15 ოქტომბერი, 2010 წელი
ფასი 50 თეთრი

14 ოქტომბერს სვეტიცხოვლის დაარსებიდან 1700 და განახლებიდან 1000 წლისთავი აღინიშნა

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა სვეტიცხოველში საზეიმო წირვა-ლოცვა აღავლინა.

უწმინდესმა და უნეტარესმა, ილია მეორემ სვეტიცხოვლის ტაძარში ქართული ეკლესიისა და რწმენის მნიშვნელობაზე ისაუბრა „საქართველოს რთული გეოპოლიტიკური მდებარეობა აქვს და ძნელია დიდი ქვეყნების გვერდით თანაცხოვრება. სარწმუნოებამ საუკუნეების განმავლობაში გადაარჩინა ქართველი ერი. ეს არის დიდი ძალა, რომელიც დღესაც გვიცავს“,- ბრძანა პატრიარქმა.

უწმინდესმა ისაუბრა გლობალიზაციის გარდაუვალ პროცესზეც და აღნიშნა, რომ ამის გამო არ უნდა ჩავიკეტოთ, პირიქით, უნდა გავეცნოთ სხვა ქვეყნების კულტურას და მათგან კარგი შევიმეცნოთ.

„ქართველებს ბევრი რამ აქვთ ისეთი, რაც გარესამყაროსთვისაც მისაღებია. ეს არის ჩვენი ფასეულობები და მათ უნდა გავუფრთხილდეთ“,-აღნიშნა საქართველოს პატრიარქმა.

უწმინდესმა დალოცა აფხაზეთი და სამაჩაბლო; შესთხოვა უფალს, რომ დამთავრდეს განსაცდელი საქართველოსთვის, ღმერთმა მოიღოს წყალობა ჩვენს ქვეყანაზე, კვლავაც გაამთლიანოს და გააერთიანოს საქართველო. წირვის შემდეგ პატრიარქმა ტაძარში შეკრებილ მაღალი რანგის სასულიერო პირებს, საპატიო სტუმრებს და მრევლს ქადაგებით მიმართა.

კათოლიკოს-პატრიარქმა მადლობა გადაუხადა სხვადასხვა ქვეყნის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებს სადღესასწაულო მსახურებაში მონაწილეობისათვის.

სვეტიცხოვლის ტაძარში შეკრებილებს ქადაგებით მიმართა ტირანასა და ალბანეთის მთავარეპისკოპოსმა ანასტასიოსმა. მან საქართველოს პატრიარქს საჩუქრად ბარძიმ-ფეშხუმი გადასცა, როგორც ერთიანობის, სიყვარულისა და მომავლისადმი რწმენის სიმბოლო.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ქვეყნის მოსახლეობას სვეტიცხოვლობა მიულოცა

ყველა თაობას აქვს ასაშენებელი თავისი სვეტიცხოველი - ჩვენი თაობის სვეტიცხოველი, რომელიც ჩვენ ერთად უნდა ავაშენოთ არის თანამედროვე, მოდერნიზებული, კონკურენტუნარიანი XXI საუკუნის საქართველო.

* * *

ჩვენს პატარა ერს გააჩნია დიდი ეროვნული ნიჭი, დიდი ტალანტი, დიდი შემოქმედებითი გენია, რომლითაც ასე ვამაყობთ, გენია, რომელიც ვერანაირმა გასაჭირმა ვერ ჩაკლა; რომელიც ყოველთვის ქმნიდა უფრო უკეთესს, ყოველთვის ილტვოდა სრულყოფილებისაკენ.

* * *

არასოდეს დავივიწყოთ ის დიდი გაკვეთილები, რასაც გვასწავლის მცხეთა, რასაც გვიამბობს სვეტიცხოველი და რასაც გვიკითხავს ქვეყნის ისტორია.

2

„საპრეზიდენტოსთვის პრიორიტეტს ხალხის დაკვეთა, მისი ჭანსაღი აზრის მხარდაჭერა წარმოადგენს

3

აფხაზეთო, ჩემო

მართლა ძალიან მომენატრე, გელოდები, გიღიმი ცრემლნარევად და თოლიებს შენთან მოკითხვას ვაბარებ.

მჯერა შენც გენატრები, შენც მელოდები აფხაზეთო, ჩემო!

5

ხალხი და ხელისუფლება

აღდგება პატარა ფოთისა და ჭალადიდის სატუმბი სადგურები

4

ქართველებისა და აფხაზების შერიგებას ალტერნატივა არ გააჩნია...

აფხაზეთი „ლაბირინთია,“ საიდანაც გამოსავალი მხოლოდ ერთია–აფხაზებისა და ქართველების შერიგება, რასაც ალტერნატივა არ გააჩნია.

5

„ჩემი ზღვა და მიწა დამიბრუნე, ღმერთო!“

–უსაშველოდ მენატრებით ჩემო სისხლით ნათესავო, დედით ქართველო, საამაყო აფხაზებო. ტკივილს დროებით გვიქარვებს თქვენთან მალე შეხვედრის რწმენა.

6

ჩემო მკითხველო!

12

„არა მარტო ასწავლი, არამედ შენც სწავლობ“

8

სპორტი

12

რისი ტოდნაც აუცილებლად დაბჭირდებათ

სიახლეები პედაგოგების და პენსიონერების საბანკო მომსახურებაში

10

ყულევიდან მოჩანს

XXI საუკუნე...

10

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ქვეყნის მოსახლეობას სვეტიცხოვლობა მიულოცა

თქვენო უწმინდესობავ!

პატივცემულო პარლამენტის თავმჯდომარე!

მსურს მივესალმო ჩვენს სტუმრებს, სხვადასხვა ქვეყნის სამღვდელოების დელეგაციებს.

დღეს მართლაც არნახულად დიდი მასშტაბისა და მნიშვნელობის ზეიმია აქ მცხეთაში.

ჩვენ ვზეიმობთ მსოფლიო ქრისტიანობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სიწმინდის, სვეტიცხოვლის დაფუძნებიდან 1700 წლისთავს და განახლებიდან ათას წლისთავს.

მინდა ასევე მივესალმო ჩვენი მეგობარი, მოძმე აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრს ელმარ მამედიაროვს, რომელიც ამ ღონისძიებას ოჯახთან ერთად ესწრება; მივესალმები ყველა დამსწრეს, ვინც დღეს მცხეთაშია და ყველა იმ ადამიანს, ვინც ტელეეკრანთანაა და ჩვენთან ერთად აღნიშნავს ამ დღესასწაულს.

შეუძლებელია იყო მცხეთაში და არ ჩაფიქრდე იმაზე, თუ რას გვასწავლის ჩვენი ისტორია, რანი ვართ, საიდან მოვდივართ, რა გზა გამოგვივლია როგორც ერს და საით მივდივართ.

ამ ქალაქის კედლებიდან მთელი საქართველოს ათასწლოვანი ისტორია გადმოგვყურებს. ამ ქალაქში დაირწა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აკვანი.

ამ ქალაქის თავზე გადაიარა ნგრევისა და უბედურების ყველა ქარიშხალმა, რაც ჩვენს ქვეყანას ისტორიამ მრავალჯერ დაატეხა თავს.

მცხეთაში არ არის არც ერთი გოჯი მიწა, რომ არ იყოს მორწყული ჩვენი წინაპრების სისხლით, რომლებიც ხშირად უიმედოდ, სრულიად განწირულ, უთანასწორო ბრძოლაში ეცემოდნენ, მაგრამ ბოლო ამოსუნთქვამდე იცავდნენ ქალაქს, რომელშიც საქართველოს გული ფეთქავდა და ფეთქავს.

ენით აღუწერელია ის ტკივილი, რაც ამ ქალაქს გადაუტანია მისი არსებობის ათასწლოვანი ისტორიის მანძილზე, ჩვენი წარმოდგენის შესაძლებლობებს სცდება იმის გააზრება, თუ რამდენი ცრემლი და გაჭირვება უნახავს აქაურობას.

მაგრამ, როდესაც დღევანდელ მცხეთას უყურებ, როდესაც ხედავ სვეტიცხოვლის დიდებულ ტაძარს, ჯვრის მონასტერს, მცხეთის აკროპოლისს და პომპეუსის ხიდის ნანგრევებს, აცნობიერებ, რომ პირველი და ყველაზე მთავარი გაკვეთილი, რასაც ეს ქალაქი გვასწავლის, არის გამძლეობა, შეუპოვრობა, დამარცხებისადმი შეუგუებლობა, უნარი გადალახო ნებისმიერი გაჭირვება და მაინც წელში გასწორდე: ფეხი დაგიცდა? - ადგე; წაბორძიკდი? - წელში გასწორდე; მტერმა თუ გაგამწარა? - არ დაიკვნესო და მას შენი ზურგი არ აჩვენო.

დღესაც უჭირს საქართველოს, ძალიან ბევრი ჩვენი მოქალაქის ცხოვრება სავსეა ყოველდღიური ყოფითი პრობლემებით. ჯერაც ძალიან ბევრია დარჩენილი სამსახურისა და სტაბილური შემოსავლის გარეშე. ამას ემატება მსოფლიო ეკონომიკური კრიზისით გამოწვეული ფასების ზრდა არსებობისათვის საჭირო ბევრ ძირითად პროდუქტზე.

დღესაც უტევს დამპყრობელი საქართველოს და მისი საოკუპაციო ჯარები აქედან ძალიან ახლოს, სულ რაღაც, 30 კილომეტრშია განლაგებული, მთიდან დაგვყურებს და ემუქრება ჩვენს სახელმწიფოებრიობას.

დღესაც გვაწევს ბრძოლა ჩვენი თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის.

მაგრამ ის, რომ მაინც ვარსებობთ, ის რომ მაინც ვვითარდებით, ის რომ მაინც არ ვტყდებით და უკან არ ვიხევთ, დასტურია იმისა, რომ კარგად გვაქვს ნასწავლი შეუპოვრობისა და გამძლეობის ის გაკვეთილი, რომელსაც მცხეთა გვასწავლის.

უყურებ სვეტიცხოვლის ხელთუქმნელ ორნამენტებს, მის ზღაპრულ არქიტექტურას და ხვდები, რომ მცხეთა არის სიმბოლო ჩვენი ერის მუდმივი სწრაფვისა სრულყოფილებისა და განვითარებისაკენ.

ამიტომაც არის, რომ ჩვენი დღევანდელობის უმთავრესი ამოცანა პროგრესი და მოდერნიზაციაა.

ამისათვის ვანვითარებთ ქვეყნის ინფრასტრუქტურას, მაგალითად, საქართველოსა და აზერბაიჯანის ერთობლივი ძალისხმევით, ახალქალაქში ყველაზე დიდი სადგური და სარკინიგზო ქსელი შენდება. საქართველოს ამ დავიწყებულ და მიტოვებულ მხარეს, ეს, იმ გზებთან ერთად, რომლებსაც უახლოესი კვირების განმავლობაში გავხსნით,პრაქტიკულად, ხელახლა ააღორძინებს.

ვქმნით ისეთ ეკონომიკურ მოდელს, რომელიც არა მარტო დღვანდელი მძიმე ცხოვრების შემსუბუქებას ისახავს მიზნად ჩვენი ხალხისათვის, არა მარტო დღვანდელი ახალი სამუშაო ადგილების გაჩენას ემსახურება, არამედ საფუძველს უყრის იმას, რომ საქართველო ერთი ნაბიჯით წინ უსწრებდეს XXI საუკუნეს, რომ ჩვენი ქვეყანა იყოს კონკურენტუნარიანი თანამედროვე მსოფლიოში, რომ მიუხედავად გლობალური ეკონომიკური სირთულეებისა, მაინც შევინარჩუნოთ მიმზიდველობა ინვესტორებისათვის, რომ ჩვენი ქვეყანა იყოს ბიზნესის კეთების სიმარტივის, დაბალი გადასახადების, მარტივი ეკონომიკური პროცედურებისა და გახსნილი ეკონომიკის ერთი-ერთი ყველაზე მიმზიდველი კუნძული მთელ რეგიონსა და მსოფლიოში.

მაგრამ პროგრესი და მოდერნიზაცია არ მიიღწევა მხოლოდ ინფრასტრუქტურის და ეკონომიკური მოდელის განვითარებით. წინსვლის მთავარი ბერკეტი არის ჩვენი საზოგადოება და მისი ინტელექტუალური პოტენციალი.

აქაც გვასწავლის მცხეთა გაკვეთილს - ეს გაკვეთილი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენს პატარა ერს გააჩნია დიდი ეროვნული ნიჭი, დიდი ტალანტი, დიდი შემოქმედებითი გენია, რომლითაც ასე ვამაყობთ, გენია, რომელიც ვერანაირმა გასაჭირმა ვერ ჩაკლა; რომელიც ყოველთვის ქმნიდა უფრო უკეთესს, ყოველთვის ილტვოდა სრულყოფილებისაკენ.

ამიტომ ახლა ჩვენი გზა სრულყოფილებისა და მოდერნიზაციისაკენ გადის განათლებაზე. ამიტომ ჩვენ ვახორციელებთ ახალ პროგრამებს, რომლებიც მიზნად ისახავს ბავშვების კომპიუტერიზაციას დაწყებითი კლასებიდან და ჩამოგვყავს ინგლისური ენის მასწავლებლები, რათა ჩვენი ბავშვები სწავლის პირველი საფეხურებიდანვე ეზიარონ თანამედროვე კომუნიკაციის ენას. რათა მათ გაეხსნათ საშუალებები, რომ ჩამოყალიბდნენ მსოფლიო საზოგადოების ისეთ წევრებად, რომლებიც იქნებიან კონკურენტუნარიანნი თანამედროვე სამყაროში და ექნებათ საშუალება და განათლება, მიაღწიონ წარმატებას XXI საუკუნის მსოფლიოში.

ორი დღის წინ ერთ-ერთ ასეთ სკოლაში ვიყავი და ვფიქრობდი, რომ ეს ყველაფერი ხეჭეჭურის - ძნელად გასახარი ხეების ნერგებს ჰგავს. გავა რამდენიმე წელიწადი, ვიდრე შედეგს მივიღებთ, ვიდრე პირველი მოსავალი იქნება, მაგრამ თუ დავრგავთ, მოვუვლით, ხელს არ ჩავიქნევთ, ეს ნერგები ნაყოფს აუცილებლად გამოისხავს.

ჩვენი ისტორია გვაჩვენებს, რომ საქართველო ყოველთვის, მისი არსებობის ყველა ეტაპზე, მუდმივად ცდილობდა დაეღწია თავი იმ მდგომარეობისათვის, როდესაც ის იყო რომელიღაც ერთი იმპერიის პროვინცია. შეხედეთ და დააკვირდით ამ ტაძარს, ბაგრატს, იშხანს, ოშკს, გელათს და ვნახავთ, რომ XI I საუკუნემდე ჩვენ ვითარდებოდით ისევე, როგორც ვითარდებოდა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები, ბევრ რამეში ვუსწრებდით კიდეც მათ. საქართველომ მაგნაკარტის დოკუმენტი უფრო ადრე მიიღო ვიდრე ინგლისმა. საქართველოში აშენებული ძეგლები, მათ შორის, ისინი, რომლებიც ახლა თურქეთის ტერიტორიაზეა, აღემატებოდა მაშინდელი ევროპული ცივილიზაციის საუკეთესო ძეგლებს. შემდეგ საათი გაჩერდა, ჩვენი დიდი წინაპრები მთელს თავის ძალისხმევას ახმარდნენ იმას, რომ გაეყვანათ ერთი დომინანტი სახელწიფოს ორბიტიდან და საქართველო ექციათ მსოფლიო პროცესების ნაწილად, მაგრამ გასაგები ისტორიული სირთულეების გამო, ეს არასოდეს გამოვიდა.

ჩვენ რეალურად, ახლა გვაქვს შანსი განვახორციელოთ ის რისთვისაც უშედეგოდ იღწვოდნენ ჩვენი დიდი მამები და ჩვენი საზოგადოება პროვინციულის ნაცვლად ვაქციოთ გლობალურ საზოგადოებად. ამას სჭირდება განათლება, გახსნილობა და თანამედროვე ცოდნისა და ტექნოლოგიების მუდმივი შემეცნება. თუ საუკუნის განმავლობაში ჩვენი ნიჭის რეალიზება მხოლოდ ცალკეულ ჩუქურთმებში, წარმოუდგენელ ცეკვაში, პოეზიაში, მუსიკაში ხდებოდა, ახლა გვაქვს შანსი თანამედროვე სახელმწიფოს მშენებლობაში, მეცნიერებაში, ტექნოლოგიაში მოვახდინოთ იგივე ნიჭის რეალიზაცია. ამის საშუალებას იძლევა დამოუკიდებლობა, თავისუფლება და ქართული სახელმწიფო.

ყველა თაობას აქვს ასაშენებელი თავისი სვეტიცხოველი - ჩვენი თაობის სვეტიცხოველი, რომელიც ჩვენ ერთად უნდა ავაშენოთ არის თანამედროვე, მოდერნიზებული, კონკურენტუნარიანი XXI საუკუნის საქართველო. ეს არის ახალი და ძველი ქალაქები. ძველი თბილისის, ძველი ბათუმის, ძველი ქუთაისის , ძველი სიღნაღის, ძველი მესტიის, ძველი თელავის ახალი, აქამდე არნახული სიცოცხლე. ეს არის ახალი უნივერსიტეტები, ახალი სტანდარტები ყველა სფეროში. ამისთვის გვჭირდება, რომ არასოდეს დავივიწყოთ ის დიდი გაკვეთილები, რასაც გვასწავლის მცხეთა, რასაც გვიამბობს სვეტიცხოველი და რასაც გვიკითხავს ქვეყნის ისტორია.

გამძლეობა, შეუპოვრობა, დამარცხებისადმი შეუგუებლობა, დაუშრეტელი სწრაფვა მუდმივი წინსვლისა და მოდერნიზაციისაკენ.

ეს გამოცდილება მოგვდგამს ჩვენი ფესვებიდან. ამან მოიყვანა ჩვენი ერი დღევანდლამდე და ეს წაიყვანს ჩვენს ქვეყანას წინ წარმატებული მომავლისაკენ.

არის კიდევ ერთი გაკვეთილი, რომელსაც მცხეთა გვასწავლის - ეს არის ერთიანობა.

სწორედ აქ, ამ ქალაქში გაჩნდა სულ პირველად იდეა ერთიანი საქართველოს შესახებ. სწორედ აქ შედუღაბდა ჩვენი ქვეყანა ერთ სახელმწიფოდ და აქ დაკანონდა უზენაეს ჭეშმარიტებად, რომ სანამ ჩვენ, საქართველოს ყველა წარმომავლობის მკვიდრნი ერთად ვართ, ჩვენი დამამარცხებელი ძალა არ არსებობს. ეს ჭეშმარიტება მრავალ საუკუნის მრავალმა ქარცეცხლმა გამოსცადა.

ამიტომ მეცინება, როცა დამპყრობელი ჩვენს გაცურებას ცდილობს, როცა შიდა მოღალატეს ფარისევლური ნიღაბი აქვს მორგებული. ჩვენს ხალხს დამპყრობლებთან ურთიერთობის იმხელა გამოცდილება გააჩნია, ციხის შიგნიდან გატეხვის იმდენი მწარე გაკვეთილი აქვს მიღებული, რომ მისი შეცდომაში შეყვანის მცდელობა მურვან ყრუს, თემურ ლენგის, შაჰ-აბასის, ლიპარიტ ბაღვაშის თუ ბაღაფშის, სერგო ორჯონიკიძის თანამედროვე მემკვიდრეების მიერ, თავიდანვე მწარე მარცხისთვის არის განწირული.

ამიტომ სანამ არსებობს მცხეთა, სანამ დაგვნათის სვეტიცხოველი - ჩვენი ვალია გვახსოვდეს, რომ ერთადერთი რაც გვაძლიერებს, რაც გვაცოცხლებს, რაც გვაფიქრებს ხვალინდელ დღეზე, არის ჩვენი ერთიანობა და ერთ მუშტად შეკრულობა.

ასე რომ აქ, ამ დიდებულ ადგილას, სადაც ქვებიც კი ბრძენნი არიან, ამ დიდებულ დღეს მინდა ერთად ვინატროთ: ვიყოთ ერთიანნი, ვიყოთ შეუპოვარნი, არ დავნებდეთ გასაჭირს, ვისწრაფოთ პროგრესისა და სრულყოფისაკენ.

და თუ ამას შევძლებთ, ჩვენ აუცილებლად ავაშენებთ ჩვენი თაობის ასაშენებელ სვეტიცხოველს!

თუ ამას შევძლებთ, გაივლის კიდევ ათასი წელი და ჩვენი შვილთაშვილების შვილთაშვილები ისევ შეიკრიბებიან ამ ადგილას, შეიკრიბებიან როგორც ამაყი, ძლიერი ქართველები, ქედს მოიხრიან და პატივს მიაგებენ მარადიულ საქართველოს და მარადიული სვეტიცხოვლის დიდებას.

ღმერთი იყოს ჩვენი ქვეყნის მფარველი.

გილოცავთ დღევანდელ დღეს.

დავით ბაქრაძე–საკონსტუტიციო პროექტებზე ვენეციის კომისიის საბოლოო დასკვნა აბსოლუტურად დადებითია

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, დავით ბაქრაძის მტკიცებით, საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტზე ვენეციის კომისიამ საბოლოო დასკვნა უკვე გამოაქყვეყნა და ეს დასკვნა აბსოლუტურად დადებითია.

ამის შესახებ დავით ბაქრაძემ პარლამენტის პლენარული სხდომის დაწყებისას განაცხადა და დეპუტატებს ვენეციის კომისიის სხდომის გამართვის და, აგრეთვე, საბოლოო დასკვნის მიღების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია.

ბაქრაძის თქმით, ვენეციის კომისიის საბოლოო დასკვნა ზუსტად ისეთივეა, როგორიც ამავე კომისიის მიერ გასულ პარასკევს გამოქვეყნებული მოსაზრებები, სადაც საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი დადებითად არის შეფასებული.

პარლამენტის თავმჯდომარემ პოზიტიურ მოვლენად შეაფასა ის გარემოება, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის საბოლოოდ დამტკიცებამდე ვენეციის კომისიის პოზიტიური დასკვნა უკვე ცნობილია.

ამასთან, რაც შეეხება თავად ვენეციის კომისიის ადრე გამოქვეყნებულ მოსაზრებებს, მასში მართალია, საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი 2004 წელს განხორციელებულ ცვლილებებთან შედარებით წინ გადადგმულ ნაბიჯად არის შეფასებული, თუმცა საკმაოდ მკაცრად არის გაკრიტიკებული რამდენიმე საკითხი, რომელთა გათვალისწინებაც საპარლამენტო უმრავლესობას არ სურს.

ვენეციის კომისიის ძირითადი შენიშვნები ეხება მოსამართლეები გამოსაცდელი ვადით დანიშვნას, პარლამენტის მიერ მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურას და ვადებს. აღნიშნული საკითხები ვენეციის კომისიის მიერ პრობლემატურ საკითხებად არის მიჩნეული, თუმცა საპარლამენტო უმრავლესობა ამ საკითხზე არ საუბრობს.

„ინტერპრესნიუსი“

ჟენევის მოლაპარაკებათა მე-13 რაუნდი დღეს გაიმართება

ჟენევის მოლაპარაკებათა მე-13 რაუნდი დღეს გაიმართება. ქართული მხარე შეხვედრაზე ორ მთავარ საკითხს - უსაფრთხოების ახალ კონცეფციას და დევნილთა დაბრუნების საკითხს დააყენებს.

რუსული მხარე, ასევე, ცხინვალისა და სოხუმის სეპარატისტული რეჟიმები გეგმავენ, მე-13 რაუნდზე მთავარ საკითხად აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ საქართველოს მიერ ძალის გამოუყენებლობის შეთანხმების გაფორმება დააყენონ. ქართული დელეგაცია აღნიშნული დოკუმენტის მარიონეტულ რეჟიმებთან გაფორმებას არ ეთანხმება.

ცხინვალის რეჟიმი ასევე აპირებს, უგზო-უკვლოდ დაკარგული ოსი მოქალაქეების მოძიების საკითხი წამოსწიოს.

ჟენევის კონსულტაციებზე ქართულ დელეგაციას საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიგა ბოკერია ხელმძღვანელობს. დელეგაციაში ასევე შედიან შსს-ს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი შოთა უტიაშვილი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე გიორგი ბარამია და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დროებითი ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

რუსული მხარის დელეგაციას საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი, ცხინვალის რეჟიმის დელეგაციას კი პოსტკონფლიქტური დარეგულირების საკითხებში ე.წ. პრეზიდენტის წარმომადგენელი ბორის ჩოჩიევი ხელმძღვანელობს. სოხუმის რეჟიმმა რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ მოლაპარაკებებს სრული შემადგენლობით უბრუნდება. შესაბამისად, აფხაზურ დელეგაციეს, სავარაუდოდ, ე.წ. პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი ვიაჩესლავ ჩირიკბა უხელმძღვანელებს.

მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეები ევროკავშირის, ეუთოსა და გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლები - პიერ მორელი, ბოლატ ნურგალიევი და ანტი ტურუნენი არიან. მოლაპარაკებებში აშშ-ის დელეგაციაც მონაწილეობს.

„ინტერპრესნიუსი“

საქართველოში უკრაინელი დეპუტატები და ექსპერტები ჩამოვიდნენ

დელეგაციას უკრაინის რადას სამრეწველო მარეგულირებელი პოლიტიკისა და სამეწარმეო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ნატალია კოროლევსკაია ხელმძღვანელობს.

ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრები საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების წარმომადგენლებთან.

შეხვედრებზე საუბარი ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავების საკითხებს შეეხება.

გარდა ამისა, მხარეები საქართველოსა და უკრაინას შორის ბიზნესურთიერთობების გაღრმავების პერსპექტივებს განიხილავენ.

„პირველი“

თვითმმართველობა ყოველი წამალია ხალხის ყოვლგვარის სჭიროებისა. სეფა უნდა დარგათ, იგი ყველგან ხეირობს...

„საკრებულოსთვის პრიორიტეტს ხალხის დაკვეთა, მისი ჯანსაღი აზრის მხარდაჭერა წარმოადგენს“

ვალუკა ჭოხონელიძე — ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ბატონო მამუკა! საკრებულოს ახალი შემადგენლობის შემდეგ ეს თქვენი პირველი ინტერვიუა, რას ეტყოდით ამომრჩეველს?

–უპირველესად, მინდა ხობელ ამომრჩეველს ხობის მუნიციპალიტეტის მეორე მოწვევის საკრებულოს სახელით მივესალმო და ვუთხრა მადლობა ერთხელ მონიჭებული ნდობის კვლავ განმტკიცებისთვის. ამავე დროს, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, როგორც წინა მოწვევის საკრებულოს, ისევე ახლაც უმთავრესი მიზანი ხობელი საზოგადოების, ხალხის ინტერესების დაცვა, მათი სოციალური კეთილდღეობისთვის ზრუნვაა, ანუ ჩვენთვის პრიორიტეტს ხალხის დაკვეთა, მისი ჯანსაღი აზრის მხარდაჭერა წარმოადგენს, რასაც დემოკრატიული მართვის პრინციპებიც განაპირობებს.

ალმშენებლობითი პროექტების დაგეგმვა და განხორციელება, სოციალური პირობებისა და ინფრასტრუქტურის განვითარება, მოსახლეობის ინტერესების გათვლით პრიორიტეტების გამოკვეთა, როგორც წარმომადგენლობითი ხელისუფლების, ასევე გამგეობის მუშაობის მთავარი პრინციპია.

ნებისმიერი ხელისუფალი ხალხის ნებისა და უფლების გათვალისწინების გარეშე მარცხისთვისაა განწირული. მე არ მინდა სენტენციების ჩამოყალიბებას შევუდგე, უბრალოდ, უნდა ვიყოთ მართალნი, კომპეტენციასა და პროფესიაონალიზმთან ერთად, თუ გვინდა ხალხმა გაგვამართლოს, რაც მთავარია, ხალხი არ უნდა მოატყუო. ხალხთან ურთიერთობის საკუთარი პრაქტიკიდან ვიტყვი, მწარე სიმართლე ხშირად ძნელად მოსასმენია, მაგრამ უფრო უკეთესი – ვიდრე ფამილარობა. ვფიქრობ, ამ პრინციპით დღემდე არ წაგვიგია, რაშიც ხალხის, ხობელი საზოგადოების როლი რა თქმა უნდა, განმსაზღვრელია.

როგორც ვიცი, თვითმმართველობის კანონში განხორციელებული ცვლილებებით საკრებულოს ფუნქციები გაიზარდა, რაში გამოიხატება იგი?

–მე ვიტყოდი, არა აქვს არსებითი მნიშვნელობა თვითმმართველობის რომელი ორგანოს ფუნქციაა მეტი. უმთავრესი ისაა, რომ ხელისუფლებას ხალხის წინაშე უდიდესი პასუხისმგებლობა გვაკისრია. თუ ჩვენ ფუნქციების მეტ-ნაკლებობით მივუდგებით საქმის კეთებას, შედეგი არ გვექნება, რაც საკრებულოსა და გამგეობის ერთობლივი, თანამშრომლობითი ურთიერთობით მიიღწევა. აღმშენებლობითი პროექტების დაგეგმვა და განხორციელება, სოციალური პირობებისა და ინფრასტრუქტურის განვითარება, მოსახლეობის ინტერესების გათვლით პრიორიტეტების გამოკვეთა, როგორც წარმომადგენლობითი ხელისუფლების, ასევე გამგეობის მუშაობის მთავარი პრინციპია, რაც განსაზღვრავს ჩვენს ურ-

დეგებით დამტკიცდა, მათ შორის ბოლო, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნების დროსაც. რეიტინგი, რომელიც ნაციონალურ მოძრაობას გააჩნია, მისი მუშაობის, სწორი სახელმწიფოებრივი კურსის დასტურია, რადგან ხალხი დემოკრატიული ქვეყნის მმართველობის საფუძველია. ეს არის სწორედ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიღწევების გარანტი.

დაუღალავი შრომა და საქმის ერთგულება, ვფიქრობ, უნდა იყოს გარკვეული შედეგების საფუძველი.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო რეგიონში ერთ-ერთი წარმატებული საკრებულოა, რა არის თქვენი მუშაობის მთავარი პრინციპი?

–დიდი მადლობა; ჩვენი მუშაობის მთავარი პრინციპი გამჭვირვალეობაა. საკრებულოს შემადგენლობა, აპარატის ჩათვლით, პასუხისმგებელია თითოეულ შემოსულ კორესპონდენციაზე, თითოეულ გადასაწყვეტ საკითხზე. ერკვევა საკუთარ კომპეტენციაში. ამასთან ერთად, დაუღალავი შრომა და საქმის ერთგულება, ვფიქრობ, უნდა იყოს გარკვეული შედეგების საფუძველი.

ინტერვიუ

ერთი წელია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ლიდერი ბრძანდებით, ხომ არ შეაჯამებთ ამ ეტაპს?

„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ ხალხის მყარი ნდობა დაიმსახურა, რაც არაერთგზის არჩევნებით მიღწეული შეთიერთობებს.

გაზეთი უნდა იყოს მრავალფეროვანი: რუბრიკებით, თემატიკით, ინფორმაციით, ერთი სიტყვით, კითხვადი, საინტერესო, არატენდენციური.

წლის 9 თვე მიიწურა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ლოზუნგი „გასაკეთებელი კიდევ ბევრია“, რა თქმა უნდა, ძალაშია. ხომ არ შეაჯამებთ ამ ეტაპს?

–მიუხედავად მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის განხორციელებული ღონისძიებებისა, კვლავ ძალაშია „გასაკეთებელი კიდევ ბევრია“. რაც შეეხება გაკეთებულის შეჯამებას, სულ მალე, წლის ბოლოს, მუნიციპალიტეტის საკრებულო ერთიანი ვრცელი შემაჯამებელი ანგარიშით წარვსდგებით მოსახლეობის წინაშე.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო რეგიონში ერთ-ერთი წარმატებული საკრებულოა, რა არის თქვენი მუშაობის მთავარი პრინციპი?

–დიდი მადლობა; ჩვენი მუშაობის მთავარი პრინციპი გამჭვირვალეობაა. საკრებულოს შემადგენლობა, აპარატის ჩათვლით, პასუხისმგებელია თითოეულ შემოსულ კორესპონდენციაზე, თითოეულ გადასაწყვეტ საკითხზე. ერკვევა საკუთარ კომპეტენციაში. ამასთან ერთად, დაუღალავი შრომა და საქმის ერთგულება, ვფიქრობ, უნდა იყოს გარკვეული შედეგების საფუძველი.

ჩვენი გაზეთი ახალი ფორმატით გამოდის. როგორც მკითხველი, როგორ გაზეთს ისურვებდით?

–გაზეთის მიმართ ხშირად გამოვთქვამ საკუთარ დამოკიდებულებას და უმრავლეს შემთხვევაში, ეს შენიშვნების სახეს ღებულობს. რაც არ უნდა გამინაწყენდეთ, გაზეთი უნდა იყოს მრავალფეროვანი: რუბრიკებით, თემატიკით, ინფორმაციით, ერთი სიტყვით, კითხვადი, საინტერესო, არატენდენციური. რომელი ერთი ვთქვა: არის სამსახურები, სფეროები, პრობლემებით თუ წარმატებებით, რომელსაც გაზეთი წელიწადია არ შეხებია. გაზეთს მეტი შეუძლია, ვიდრე მუნიციპალიტეტში მოვლენების ქრონოლოგიურად აღწერა.

ბატონო მამუკა, ისევ დიდი ილიას სიტყვებით დავამთავრებ:

„გუშინდელი დღე დიდებული რამ იყო, მაგრამ უცნაური ის არის, რა ბევრის თქმა გვინდოდა და რა ცოტა ვილაპარაკეთ“.

ესაუბრა
მერი ლაგვილავა

საქართველო

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №37

ქ. ხობი 2010 წლის 8 სექტემბერი

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის იურის ბუკიას ადგილმონაცვლის ლაშა ცატავას უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს საარჩევნო კოდექსისა და №66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიის №131/2010 განკარგულების თანახმად:

1. ცნობილ იქნეს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის იური ბუკიას ადგილმონაცვლის ლაშა ცატავას უფლებამოსილება.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით ხობის რაიონულ სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. ხობი. ცოტნე დადიანის ქ. №192).

მ. ჭოხონელიძე
საკრებულოს თავმჯდომარე

ოპერატიული თათბირი საკრებულოში

ოპერატიული თათბირი, რომელიც საკრებულოში ტრადიციულად ტარდება, ანალიზს უკეთებს კვირიდან კვირამდე მუნიციპალიტეტში მიმდინარე აქტუალურ პროცესებს, განსაზღვრავს ახალ საკეთებელს, მობილიზებას უწევს და დადებით მუხტს აძლევს დარგის ხელმძღვანელებს, რომ ხვალინდელი დღე უფრო აქტიური და დატვირთული ჰქონდეთ.

ოპერატიულ თათბირს, როგორც წესი, საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი მამუკა ჭოხონელიძე უძღვებოდა და საკრებულოს კომისიების, ფრაქციების, საკრებულოს დაქვემდებერებაში არსებული დაწესებულებების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ.

ოპერატიული თათბირის მონაწილეებმა მიღებული დავალებების შესაბამისად წარმოადგინეს ინფორმაციები დარგში არსებულ მიმდინარე პროცესებზე. ითქვა, რომ ცენტრების მიერ ინვენტარიზაციის მასალები არ არის წარმოდგენილი, რომ ხობის მუნიციპალიტეტი მდიდარია ისტორიული ძეგლებით, მაგრამ ტურისტთა მოსაზიდად არ არის შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რაც ხელს უშლის ტურისტული პოტენციალის განვითარებას. თათბირის მონაწილეებმა ისაუბრეს წინა თათბირზე მიღებულ დავალებათა შესრულებაზე, რაც ძირითადად განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის დღევანდელობას და მის მომავალს.

საკრებულოს თავმჯდომარემ შეაჯამა თათბირი და შესაბამისი დავალებები და მიმართულებები განსაზღვრა, ისაუბრა საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდის შესახებ და იურიდიული პირების ხელმძღვანელებს, რომელთა საქმიანობითაც გათვალისწინებულია ბიუჯეტში შემოსავლების მიღება, სთხოვა წარმოადგინონ თავიანთი წინადადებები. კულტურის ცენტრის ხელმძღვანელებს შეახსენა, რომ კულტურა არის ერთ-ერთი იდეოლოგიური იარაღი, ამიტომაც კულტურული ღონისძიებები უნდა დაიგეგმოს ქვეყნისათვის აქტუალურ საკითხებზე.

მან კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ქვეყნის სერთიფიცირებულ მასწავლებელთა რიცხვი მუნიციპალიტეტის მასწავლებლებმაც შეავსეს, თათბირის მონაწილეები მაინც ვერ აცდნენ პოლიტიკას–კმაყოფილება ვერ დამალეს საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გაეროს გენერალური ასამბლეის 65-ე სესიაზე წარმოთქმული სიტყვის გამო, რაც საქართველოს გამთლიანების რწმენას მატებს თითოეულ ქართველს.

თათბირის მონაწილეებმა მიიღეს ახალი დავალებები. დადებითი მუხტით, მომავალ გამარჯვებათა რწმენით დატოვეს დარბაზი.

მერი ლაგვილავა

ხალხი და ხელისუფლება

აღდგება პატარა ფოთისა და ჭალადიდის სატუმბი სადგურები

სახელმწიფო მაგისტრალური არხების სუსტი გამტარუნარიანობის გამო გახშირებული წვიმებისას საჭოჭუოს უბანში მცხოვრებნი ზარალდებოდნენ. იტბორებოდა სახლები, დამხმარე ნაგებობები, საკარმიდამო ნაკვეთები. შეიქმნა აუცილებლობა აღდგენილიყო პატარა ფოთისა და ჭალადიდის სატუმბი სადგურები. ხობის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით სამელიორაციო სამსახურმა („კოლხეთი-მ“) დაიწყო მაგისტრალური არხის გაწმენდითი სამუშაოების შესრულება. მიმდინარე სამუშაოები ადგილზე დაათვალიერა მუნიციპალიტეტის გამგებელმა იგორ ტყებუჩავამ.

სანიაღვრე არხების მოწყობითი სამუშაოები

დამთავრდა ნინოშვილისა და რუსთაველის ქუჩებზე სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით შეასრულა „ხობმონტაჟმშენმა“. დასაქმებულ იქნა 12 ადგილობრივი მაცხოვრებელი. სანიაღვრე არხის მოწყობამ მოსახლეობას საკარმიდამო ნაკვეთების დატბორვის პრობლემა მოუხსნა და მათი მრავალწლიანი პრობლემა მოიხსნა.

ჯაჭვის ხიდი სავარაუდოდ პირველ ნოემბრამდე შევა ექსპლუატაციაში

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში დაიწყება სოფელ ხორგისა და ახალსოფლის დამაკავშირებელი ავარიული ჯაჭვის ხიდის აღდგენა. მუნიციპალიტეტის გამგებელი იგორ ტყებუჩავა პირადად შეხვდა მოსახლეობას და დაათვალიერა ხიდი, რომლის აღდგენა რამდენიმე კილომეტრით დაახლოებს ერთმანეთთან მეზობელ სოფლებს.

ხობი აქტიურად შეუერთდა კომპანიას –„დავასუფთაოთ მსოფლიო“

– წელს საქართველო პირველად შეუერთდა კამპანიას „დავასუფთაოთ მსოფლიო, დავასუფთაოთ საქართველო,“ ამ აქციის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებამ მხარდაჭერა გამოხატა თავისი ეზოს, ქუჩის, ქალაქის დასუფთავებით. ადგილობრივი ხელისუფლება საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად გავიდა დანაგვიანებული ადგილების დასასუფთავებლად. ამ მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, გამგეობისა და საკრებულოს საჯარო სამსახურების თანამშრომლებმა, ქალაქის „დასუფთავება და განათების“ სამსახურმა და ადგილობრივმა მოსახლეობამ. მუნიციპალიტეტის ოცივე სოფელი მთელი დღის განმავლობაში აქტიურად იყო ჩართული ამ მნიშვნელოვან კამპანიაში. აქციის მონაწილეებს დაურიგდათ სპეციალური უნიფორმები, ხელთათმანები, პოლიეთილენის პარკები. აქციის კოორდინატორმა ხობის მუნიციპალიტეტში ქალბატონმა მედეა ქობალიამ გააკეთა განცხადება ნარჩენების სეპარაციის შესაბამისი უნარჩვევების გამომუშავების აუცილებლობაზე საზოგადოებაში. აქციამ ხელი შეუწყო საზოგადოების მობილიზებას ნარჩენებთან დაკავშირებული პრობლემების გარშემო.

მუნიციპალიტეტის გამგებელი აქტიურად ჩაერთო აქციაში, მან ისაუბრა მის მნიშვნელობაზე „...ერთი დღე რა თქმა უნდა ყველა პრობლემას ვერ გადაჭრის, მაგრამ ის ფაქტი, რომ ამ აქციით ჩვენ თუნდაც უმცირეს წერტილს დედამიწისას დავასუფთავებთ და საქართველო დატანილ იქნება მსოფლიოს გარემოს დაცვით რუკაზე, თავისთავად ფაქტია.

ვფიქრობ, ყოველი დღე დედამიწაზე ამგვარი ფიქრით უნდა იწყებოდეს „იზრუნე დედაბუნებაზე!“ და ეს ზრუნვა საზოგადოების თითოეულმა წევრმა საკუთარი ეზოდან, სოფლიდან, ქალაქიდან უნდა დაიწყოს, მენტალურ მოთხოვნილებად, გამომუშავებულ უნარ-ჩვევად უქციოს საკუთარ თავს, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელი–ვთვლი, რომ მსგავსი გასვლები საჭიროა მოსახლეობის მეტი აქტივობით, მაგრამ თუ მენტალობა არ შეიცვალა და მოქალაქეებმა ნაგვის ურნაში ნარჩენის ჩაგდების ნაცვლად მისი ქუჩაში დაგდება განაგრძეს, რომლის ფაქტიც სამწუხაროდ მრავლადაა, საკუთარი ეზოს გარდა საზოგადოებრივი ადგილები მხოლოდ სახელმწიფო სტრუქტურების იმედად დატოვეს, თუ კი უახლოეს მომავალში არ გადაწყდა ნაგავსაყრელების პრობლემა, კიდევ დიდხანს ერქმევა გადაუჭრელი პრობლემა, ხოლო ბუნება ამგვარ დისონანს, დიდხანს ვერ ჰგუობს და ადამიანები ეკოსისტემის რღვევით პასუხისმგებელნი ვხდებით ბუნების წინაშე კაცობრიობის მომავლით, ამიტომაც გავერთიანდეთ-დღევანდელი დღითა და დიდი პასუხისმგებლობით „დავასუფთაოთ საქართველო–დავასუფთაოთ მსოფლიო“!

მორიგი შეხვედრა ახალსოფელში

ხობის მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემების გადაჭრასთან დაკავშირებით ტარდება მთელი რიგი ღონისძიებები, რომელთა მეშვეობით, რაც შეიძლება სწრაფად და ეფექტურად უნდა მოგვარდეს პრობლემებით გამოწვეული სიძნელეები. ყოველივე ამის გათვალისწინებით სოფელ ახალსოფლის მცხოვრებლებს ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი ბატონი იგორ ტყებუჩავა შეხვდა. მოსახლეობამ გაჭიანურებულ გვალვებთან და ამორტიზირებული წყალსადენების უმოქმოდებასთან დაკავშირებით მოითხოვა სასმელი წყლის პრობლემების გადაჭრა. გამგებელი ადგილობრივ მაცხოვრებლებს დაპირდა, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნება წყალსადენის სარეაბილიტაციო თანხები. სამუშაო შეხვედრას ესწრებოდნენ მობილური კავშირგამბულობის კომპანია „მობიტელის“ წარმომადგენლებიც. კომპანიამ წარმოადგინა პროექტი საბაზო სადგურის განთავსების შესახებ სოფელ ახალსოფელში. შეხვედრისას „მობიტელის“ წარმომადგენლებმა ადგილობრივ ხელისუფლებას სთხოვეს თანადგომა საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების ჩასატარებლად, რადგანაც უნდა განისაზღვროს გრუნტის ვარგისიანობა საბაზო სადგურის განთავსებისათვის, რამაც მოსახლეობაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. გამგებელი მათ დაპირდა, რომ პროექტის შესაძლო განხორციელების შემთხვევაში მაქსიმალურად იქნებოდა გათვალისწინებული და დაცული თითოეული მოსახლის ინტერესი.

პოლიგონზე ფორსმაჟორული სიტუაცია შეიქმნა

ხობის ნაგავსაყრელ პოლიგონზე ექსპლუატაციიდან დღემდე შეტანილია 11.000 კუბური მეტრი საყოფაცხოვრებო ნარჩენი. იმის გამო, რომ ვერ განხორციელდა ნარჩენების დაფარვა თიხა-ნარევი გრუნტით, პოლიგონზე შეიქმნა ფორსმაჟორული სიტუაცია, რითაც ირღვევა ეკოლოგიური მოთხოვნები, პოლიგონი კარგავს გამტარუნარიანობას. მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ აღნიშნულის გათვალისწინებით წარმოდგენილია პროექტი, რომლის განხორციელება გადაჭრის საიზოლაციო ფენის მოწყობის პრობლემას. პროექტის ღირებულება შეადგენს 44.995 ლარს. პოლიგონის დასათვალიერებლად ადგილზე გავიდნენ მუნიციპალიტეტის გამგებელი და ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

„ასი ახალი საავადმყოფოს“ პროექტი ხობში

მუნიციპალიტეტის ცენტრალური პოლიკლინიკის ბაზაზე დაიწყო სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რომელსაც „ასი ახალი საავადმყოფოს“ პროექტით ახორციელებს საქართველო-ჩეხეთის ერთიანი საწარმო „ბლოკ-ჯორჯია.“ -დასაქმებულია 25 ადგილობრივი მაცხოვრებელი. პროექტის განხორციელების შემდეგ მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მიიღებს თანამედროვე დონის მაღალტექნოლოგიურ დახმარებას. რადგანაც პროექტის მიხედვით აქ განთავსდება, როგორც სტაციონალური, ასე პოლიკლინიკური ნაწილი-დიაგნოსტიკური ცენტრით, რომელიც აღიჭურვება თანამედროვე აპარატურით, ასევე იმუშავებს რეანიმაციული განყოფილება. შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები მუნიციპალიტეტის გამგებელმა იგორ ტყებუჩავამ დაათვალიერა.

ბიაში არსებულ პრობლემებს სპეციალისტები განსაზღვრავენ

სოფელ ბიაში მდინარე ხობისწყლის მიმდებარე ტერიტორიაზე ეროზირებული და დამეწყრილი ზონები, რომლებიც მოსახლეობისათვის უმწვავეს პრომლემადაა ქცეული, მუნიციპალიტეტის გამგებელმა იგორ ტყებუჩავამ დაათვალიერა, მან დაავალა სპეციალისტებს განსაზღვრონ, არსებული პრობლემის გამო, მრავალწლიანი კულტურებით დანაშენებული მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებისათვის მიყენებული ზარალი.

ნორჩი ჟურნალისტების რესპოდენტი-მუნიციპალიტეტის გამგებელი

22 სექტემბერს განათლების ცენტრის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ნორჩ ჟურნალისტთა წრის წევრებთან შედგა მუნიციპალიტეტის გამგებლის ბატონ იგორ ტყებუჩავას ინტერვიუ. მოზარდების კითხვები ძირითადად შეეხო განათლების სფეროში მიმდინარე პროცესებს, გამგებლის საზოგადოებრივ მოღვაწეობას, ურთიერთობებს, ბავშვობას. ასევე დომინირებდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტთან დაკავშირებული კითხვები, მოზარდებს აინტერესებდათ, თუ რამდენად გაითვალისწინებს ადგილობრივი ხელისუფლება ბიუჯეტის შედგენისას ახალგაზრდობის მიერ წარმოდგენილ წინადადებებს. შეხვედრამ გულთბილ ვითარებაში ჩაიარა. ნორჩი ჟურნალისტები კვლავ გეგმავენ საზოგადოების წევრებთან მათთვის საინტერესო საკითხებზე შეხვედრებს.

ინფორმაციები მოგვაწოდა ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფორმაციის უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა.

27 სექტემბერი_სოხუმის დაცემის დღე!

„აფხაზეთო ჩემო, ჩემო აფხაზეთო, ჭრილობა და ცრემლი შენ ხარ ერთადერთო“

აფხაზეთი–შორეული, აფხაზეთი–ახლობელი

1993 წელი...

...წელი ტრაგედიის.

...როგორც ქართველებისთვის, ისე აფხაზებისთვის. დამნაშავე ამ ტრაგედიაში არც ქართველი, არც–აფხაზი. მთავარი დამნაშავე ამ მოვლენებში–რუსეთის იმპერიის უზარმაზარი მანქანა, მთელი თავისი გამოცდილებით, ცბიერი გეგმებით, და დიპლომატთა კორპუსით.

იმპერიის გეგმა მუხანათური–ანტიქართული განწყობილების შექმნა, კიდევ–ორი ხალხის–ქართველების და აფხაზების ერთმანეთის მიმართ გაუცხოება.

მიზანი, რომელიც უკვე მსოფლიომ აღიარა, საქართველოს სახელმწიფოს დაშლა და მისი ტერიტორიების მიერთება.

არ არის საჭირო თვალით ნანახი და გადატანილი ტრაგედიების გახსენება და განხილვა, რადგან გავა დრო და ისტორია თავად მიუჩენს იმ სამარცხვინო როლს რუსეთს, რომელიც მან ითამაშა ამ ომში.

ასევე ისტორია ამოატივტივებს და კვლავ მზის სინათლეზე გამოიტანს იმ ურთიერთობებს, რომელიც ორ ერს–ქართველებსა და აფხაზებს გვქონდა საერთო სამშობლოში–საქართველოში.

გავიხსენოთ ის ბრძოლები, რომელიც ქართველებსა და აფხაზებს ერთად გადაგვიხდია საერთო მტრების წინააღმდეგ. გვაქვს გამორჩეული ბრძოლებიც, როგორიცაა მურვან–ყრუს წინააღმდეგ გამართული ბრძოლა 736-738 წლებში. ამ ბრძოლაში ქართველთა და აფხაზთა მცირერიცხოვანმა რაზმებმა ანაკოფიასთან უკუაგდეს არაბთა მრავალათასიანი ლაშქარი.

XI საუკუნის მეორე ნახევარში თურქ–სელჩუკები დაედევნენ მეფე გიორგი II აფხაზეთში, ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური წინააღმდეგობის შედეგად ისინი აქ ვერ დამკვიდრნენ.

1121 წლის 15 აგვისტოს ქართულმა ჯარმა დიდგორთან სასტიკად დაამარცხა სელჩუკთა მრავალრიცხოვანი არმია. ჩვენთან ერთად თავგამოდებით იბრძოდნენ აფხაზი მეომრები.

თავგანწირვით იბრძოდნენ აფხაზი მეომრები ბასიანის ომშიც. ამ ომში გამარჯვებამ ქართული სახელმწიფო იხსნა განადგურებისაგან. ანტიმონღოლურ აჯანყებაში ცოტნე დადიანთან და რაჭის ერისთავთან ერთად მონაწილეობას ღებულობდა „უშორეს მყოფნი აფხაზნი“.

ზღვისპირა ქალაქ ცხუმში ქართველი მეფეების რეზიდენცია იყო. თამარ მეფე ხშირად ჩადიოდა ცხუმს და იქ ისვენებდა. აფხაზების პატივისცემის ნიშნად თამარ მეფემ თავის ერთადერთ ვაჟიშვილს მეტსახელად აფხაზური სახელი „ლაშა“ დაარქვა.

გიორგი შერვაშიძეს არ ეჭირა აფხაზეთის მთავრის პოსტი, მაგრამ იგი სისხლით, ჯიშით, სულით იყო აფხაზეთის მთავარი. საჭიროა, გავიმეოროთ მისი სიტყვები–„თუ ქართველი ერი მთლად არ გადაშენდა, შთამომავლობა და მომავალი ჩასთვლის ჩვენს დროს გონების უმწიფარ ხანად“.

აფხაზეთი ესაა ძველი კერა ქრისტეს სჯულისა, აკვანი მოციქულითა ანდრიასი და სიმონ ქანანელის, სადგური ბაგრატ მესამის, ბაგრატ მეოთხის, ღირსი შესანიშნავი ტაძრების–ბედიის, დრანდის, პიწუნდის...

ჩვენ ერთად, თანაბრად ვინაწილებდით მტრების მიერ მიყენებულ ტკივილს და ერთობლივი გამარჯვებით გამოწვეულ სიხარულს.

საქართველოს ეკონომიკური აღმავლობა, დოვლათის შექმნა, გზებისა და ხიდების შენება, დემოკრატიის შემდგომი განვითარება გვინდა აფხაზ ხალხთან, აფხაზეთთან ერთად. გვინდა ულამაზესი სოხუმი, ბათუმი, გაგრა, მავთულხლართიანი საზღვრის, საზღვართან კი რუსი ოკუპანტების ნაცვლად გვინდა ერთად ვაშენოთ ხიდები, შადრევნები, გამჭვირვალე შენობები; კვლავაც უნდა შეიქმნას ქართულ–აფხაზური ოჯახები, ბოლოს-დაბოლოს ისევ უნდა შევიყვაროთ ერთმანეთი, რადგან გვქონდა, გვაქვს და გვექნება საერთო სამშობლო–საქართველო, რომელიც მიუხედავად სიძნელეებისა, მაინც სათანადო სიმაღლეზე დგას და მზად არის ყველაზე უფრო კარგად დაიცვას აფხაზი ხალხის პოლიტიკური უფლებები, ენა, ისტორია.

მთელი ქართველი ერის სახელით მიმართავს პრეზიდენტი ჩვენს აფხაზ და ოს თანამოქალაქეებს, რომლებიც ჩვენი ერთიანი ერის გამყოფი „ახალი რკინის ფარდის“ მიღმა ცხოვრობენ:

–ჩვენ დავიცავთ თქვენს უფლებებს, თქვენს კულტურას, თქვენს ისტორიას; ვიმუშავებთ თქვენთან ერთად და თქვენთვის.

–იმის ნაცვლად, რომ რუსეთის იმპერიის ანექსიას გაუძლოთ, მრავალკულტურული და მრავალეთნიკური ერის აშენებას გთავაზობთ, რომელიც ტოლერანტობის და პატივისცემის ნიმუში იქნება მთელ რეგიონში.

–ვიცნებობ იმ დღეზე, როდესაც როგორც აფხაზეთი, ისე ცხინვალის რეგიონი გაერთიანებული, დემოკრატიული, დამოუკიდებელი და ევროპული საქართველოს ღიდერი გახდება, რაც ადრე არაერთხელ მომხდარა ჩვენს საერთო ისტორიაში.

და ბოლოს, ისევ პრეზიდენტის სიტყვები: ისტორიიდან ვიცით, რომ ზოგჯერ ოცნებების ახდენა უფრო რეალურია, ვიდრე ხელის ჩამორთმევა.

მანანა შულაია

ერის არსებობის განმსაზღვრელი და შემადგენელი ენასთან ერთად არის ისტორია. ხშირად ვიმეორებთ ფრაზებს „ჩვენი წარსული ჩვენი სიამაყეა,“ მართლაც ასეა, მაგრამ ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გადაჭიმული საქართველოდან თითქმის აღარაფერი აღარ დაგვრჩენია. როცა საქართველოს ისტორიას ვკითხულობთ, შეუძლებელია მაშინვე თვალში არ გვეცეს ერთი გარემოება, საქართველოს სახელმწიფოებრიობის თითქმის სამიათასწლოვანი არსებობისა და განვითარების ისტორიას შეიძლება ეწოდოს მუდმივი ბრძოლების, გამარჯვებების, ღალატის, დამარცხებების და ისევ ბრძოლების ქრონოლოგია. ჩვენ ოდითგანვე არაერთი მტერი გვყოლია. საქართველოს წარმტაცი ბუნება და სიმდიდრე იზიდავდა და ხიბლავდა მრავალთ უცხო ტომთაგან და ისინი ვითარცა დამშეულნი და მადაალძრულნი მოისწრაფოდნენ ჩვენი სამშობლოს დასაპყრობად. მაგრამ ქართველთა უტეხი ხასიათი, მაღალი ზნეობა, სიყვარული, ღვთის რწმენა, მუდამ შველოდა ქართველ ერს დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. თუმცა ხალხის თავდადება ვერას უშველიდა ქვეყანას, მის სათავეში ძლიერი, გონიერი და უშიშარი ადამიანები, რომ არ ყოფილიყვნენ. ისინი იკრებდნენ ერს და სწორი გზით წარმართავდნენ მის ძალას. საქართველოს ისტორიაში ხშირია სამარცხვინო დღეები, ყოველთვის გამოიძებნებოდნენ ადამიანები, რომლებიც პირადი კეთილდღეობისათვის მზად იყვნენ უარი ეთქვათ, ყველაზე

დონეზე გაშუქებულია აფხაზეთის ისტორიის საკვანძო საკითხები, რაც აფხაზეთის ისტორიული წარსულის , კერძოდ აფხაზთა და ქართველთა ეთნიკური წარმომავლობის, ერთიანი კულტურულ-ისტორიულ სივრცეში მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრების ობიექტური გაშუქების საშუალებას იძლევა.

„მე ვისურვებდი, რომ საქართველოს დაბრუნებოდეს ძველი ძლიერება; არ დასჭირვებოდეს უცხო ქვეყნის დახმარება; და სავსებით დამოუკიდებელი იყოს მშვიდობისა და ომიანობის ჟამსაც, მაგრამ დროთა მდინარებით, ანდა ბედის ტრიალით ეგებ ორივეს გამოც, ისე დავუძლურდით, რომ სხვებს უნდა დავემორჩილოთ, მე ყველაზე გონივრულად მიმაჩნია, იმათ ნებას დავყვეთ, ვინც უფრო ზომიერია და სამართლიანი და ვინც არასდროს ღალატობს თავისი მოკავშირეების მეგობრობას“... ეს ის სიტყვებია, რომელსაც ადრებიზანტიელი ისტორიკოსი ათქმევინებს ორატორ აიეტს. სწორედ ამ პრინციპითა და პოლიტიკით მოხდა

ქართველებისა და აფხაზების შერიგებას ალტერნატივა არ გააჩნია...

ძვირფასზე, ხოლო მტერი მათი მეშვეობით ყოველთვის ახერხებდა „ციხე შიგნიდან გაეტეხა“.

ნათქვამია, „ყველაფერი ახალი, კარგად დავიწყებული ძველიაო“, ასეც არის. არაფრით არ განსხვავდება გასული საუკუნის 90-იანი წლებში საქართველოში განვითარებული მოვლენები ჩვენი ისტორიული წარსულისაგან, იმჟამინდელი მდგომარეობის ზედმიწევნით ზუსტად გადმოცემა შესაძლებელია გენიალური ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის სიტყვებით:

„მერმე შიგნით აიშალნენ, ძმამ მოუდვა ძმასა ყისტი;

თავის თავსა ხმალი იცეს, გულთა მოიხვედრეს ხიშტი“.

რის შედეგადაც მივიღეთ: აფხაზეთი, ჩვენი დიდი ტკივილი, რომელიც ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების მიერ და საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევით სამი თუ ოთხი სახელმწიფოს მიერ აღიარებულია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. არ შევუდგები აფხაზეთის ომის დეტალურ აღწერას, არ გავიხსენებ იმ ტრაგიკულ დღეებს, რათა არ განვიახლოთ ის იარები, რომელიც ორივე მხარისათვის ტკივილის მომგვრელია. არამედ შევეცდები ვისაუბრო ორი მოძმე ერის აფხაზებისა და ქართველების თანაცხოვრების ისტორიაზე და ამ ტრაგედიაში ჩვენი ჩრდილოელი „კეთილი მეზობლის“ დამსახურებაზე.

ალბათ ახალს არაფერს არ აღმოვაჩენ და არ წამოვიძახებ „ევრიკა“-ს, თუ ვიტყვი, რომ ქართველებსა და აფხაზებს მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრების ისტორია გააჩნია. ქართულ ისტორიოგრაფიაში (რომელიც ეყრდნობა როგორც ქართულ, ასევე ბერძნულ და არაბულ წყაროებს) სათანადო მეცნიერულ

1783 წელს გეორგიევსკის ტრაქტატის დადება, რომელიც „მეგობრული ხელშეკრულება“ იყო და ფეოდალური ეპოქის სამართლის ნორმების მიხედვით გულისხმობდა ნებაყოფლობით შესვლას ძლიერი სახელმწიფოს მფარველობაში, სუვერენულ უფლებათა შენარჩუნებით. ამდროიდან იწყებს რუსეთის იმპერია საქართველოს დაქუცმაცებისა და დაპყრობის პოლიტიკის განხორციელებას. ჩრდილოელი მეზობლის ორსაუკუნოვანმა მცდელობამ საქართველოსთვის ეს ძირძველი კუთხე ჩამოეშორებინა, შედეგი გამოიღო. აფხაზებსა და ქართველებს შორის დაძაბულობამ პიკს 1992 წლის 14 აგვისტოს მიაღწია და ძმათამკვლელ ომში გადაიზარდა. საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ, სამწუხაროდ, აფხაზეთის შესანარჩუნებლად მასობრივი მობილიზაცია არ გამოაცხადა და აფხაზეთი პრაქტიკულად ეგრეთწოდებული სამხედრო შენაერთებისა და მოხალისეების იმედად დატოვა. რომელთაც გარდა პატრიოტული სულისკვეთებისა, არანაირი სამხედრო გამოცდილება არ გააჩნდათ. იყო უამრავი გმირობის და თავდადების მაგალითები, მაგრამ იყო სერიოზული არაორგანიზებულობა და ალბათ, ღალატიც. ამან კი 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმის დაცემამდე მიგვიყვანა და ეს დღე - ჯვართამაღლების უდიდესი საუფლო დღესასწაული - საქართველოში გლოვისა და ვარამის დღედ იქცა. ამ ომმა ორივე მხრიდან უამრავი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და საქართველოს ისტორიას სამშობლოსათვის ზვარაკად შეწირული გმირები აჩუქა. მათი გმირობის მაგალითებზე თაობები იზრდებიან. გმირობისა და ვაჟკაცობის სიმბოლოდ იქცა ქართველებისთვის ჟიული შარტავას სახელი. ის, როგორც უკანასკნელი მეციხოვნე, თავის თანამებრძოლებთან ერთად ბოლო ამოსუნთქვამდე იბრძოდა, სიკვდილს თვალებში უყურებდა, მაგრამ მაინც უშიშრად იდგა მტრის პირისპირ და განაჩენის მოლოდინში გაუბედურებული საქართველოს მომავალზე ფიქრობდა.

ქართველი ერი გაუსაძლისი მოლოდინის ჩვიდმეტი წელია უკეთესი ხვალინდელი დღის რწმენით ცხოვრობს, განსაკუთრებით ის ადამიანები, რომელთაც საკუთარ თავზე იწვნიეს ომის „ქარტეხილი“, დაკარგეს უახლოესი ადამიანები, მამა-პაპათა საძვალეები, საცხოვრისი და საკუთარ ქვეყანაში „დევნილებად“ იქცნენ. აფხაზეთი „ლაბირინთია,“ საიდანაც გამოსავალი მხოლოდ ერთია–აფხაზებისა და ქართველების შერიგება, რასაც ალტერნატივა არ გააჩნია.

ნინო გერგაია.

აფხაზეთო, ჩემო...

(ჩანახატი)

ძლიერი მონატრება სცოდნია შენთან დიდი ხნით განშორებას, აფხაზეთო, ჩემო!.. ნათელი შუქი მოჩანს შორეთიდან, თითქოს გვიღიმი და გველოდები... თოლიებს ხშირად მოაქვთ ამბავი, ზღვა კვლავ ბობოქრობს, ღელავს, მოსთქვამს, მისი წუხილი ჩვენამდე ტალღების ხშირი სიმძლავრით აღწევს...

ღვთითკურთხეული მიწა სრულიად საქართველოსი იმედით შემოგცქერის და შენთან დაუვიწყარ მალე შეხვედრაზე ფიქრობს. დიდი ხანია შენი გულისცემა არ გაუგია ივერთ შვილებს. ქართველთა სისხლით მორწყული შენი სხეული ერთიან საქართველოსთან ყოფნისკენ ილტვის...

ვლოცულობთ... წმინდანთა შარავანდედით შემოსილთა მადლი არ გაკლია განუმეორებელო აფხაზეთო, ჩემო... ახალ ათონში დამკვიდრებული წმინდა სვიმონ კანანელის მადლი დაგტრიალებს, წმინდა იოანე ოქროპირის სარკოფაგიდან კურთხევის ძალა გაძლიერებს და მამა ანდრიას (მღვდელმონაზონი ანდრია ყურაშვილი) სულიერი და ზნეობრივი სიძლიერე მტრებს თვალს უბრმავებს და

შენ სინათლისაკენ, მარადიულობისაკენ გზას გიკაფავს... შენი სიყვარულით და სიმამაცით სავსე ჟიული შარტავას მსხვერპლად შეწირული სიცოცხლე აფხაზეთის უკვდავყოფაა.

მართლა ძალიან მომენატრე, გელოდები, გიღიმი ცრემლნარევად და თოლიებს შენთან მოკითხვას ვაბარებ.

მჯერა შენც გენატრები, შენც მელოდები აფხაზეთო, ჩემო!

შორენა ვეკუა

ინტერვიუ

გამარჯობა, აფხაზეთო, ფენი!

ინტერვიუ

გასული საუკუნის 90-იან წლებში აფხაზეთში განვითარებულმა მოვლენებმა უბედურება მოუტანა არა მარტო აფაზეზეთის ქართულ მოსახლეობას, არამედ აფხაზებსაც, მან რამდენიმე ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ხოლო, განხორციელებული ეთნიკური წმენდის შედეგად 300 ათასი ეთნიკური ქართველი იძულებული გახდა დაეტოვებინა მშობლიური კუთხე და არსებული მძიმე სოციალური პრობლემების ფონზე, მარტოდმარტო შეჭიდებოდა ცხოვრების სირთულეებს. თუმცა, 2003 წლიდან ხელისუფალთა დამოკიდებულება შეიცვალა და ის არ შემოიფარგლება ერთჯერადი დახმარებებით, არამედ მიმართულია დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციისაკენ. აღნიშნულ საკითხებზე ვესაუბრეთ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ლტოლვილთა და იძულებით გადადგილებულ პირთა განყოფილების უფროსს ქალბატონ შორენა ძაძამიას:

ქალბატონო შორენა, ბოლო პერიოდში აქტიური საუბარი მიდის დევნილთა სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, როგორც ჩვენთვის ცნობილია, მთავრობის მიერ შემუშავებულიქნა სტრატეგიული გეგმა, ხომ ვერ გვეტყოდით თუ რას ითვალისწინებს აღნიშნული გეგმა?

–2009 წლის 25 მაისს საქართველოს მთავრობის მიერ ხელი მოეწერა იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ 2009-2012 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმას. გეგმის მიზანია დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება. მოცემული მიზნის მისაღწევად სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს დევნილთა საცხოვრებელი პირობების გრძელვადიან გადაწყვეტას, სახელმწიფოზე მათი დამოკიდებულების შემცირებას და დაუცველი დევნილების ერთიან სოციალურ პროგრამაში ინტეგრირებას საერთო კრიტერიუმების საფუძველზე მანამ, სანამ შესაძლებელი გახდება მათი დაბრუნება. ზემოთ აღნიშნული მიზნის მისაღწევად სტრატეგია ითვალისწინებს ხელშემწყობ სხვადასხვა ღონისძიებებს. კონცეფცია ეფუძნება სახელმწიფო სტრატეგიას და განხორციელდება სამ ეტაპად:

პირველი ეტაპი ითვალისწინებს კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაციას, სადაც ეს შესაძლებელია და დევნილი ოჯახებისათვის საკუთრებაში გადაცემას. აქვე აღვნიშნოთ, რომ არსებობს საკუთრებაში გადასაცემი კოლექტიური ცენტრების ორი კატეგორია: ცენტრები, რომლებიც სახელმწიფო ბალანსზეა და კერძო საკუთრებაში არსებული ჩასახლებები. პირველ მათგანში, დევნილთა თანხმობის შემთხვევაში, უპრობლემოდ შეიძლება რეაბილიტაცია და პრივატიზაცია. რაც შეეხება კერძო საკუთრებაში არსებულ კოლექტიურ ცენტრებს, მეპატრონეებთან უნდა გაიმართოს მოლაპარაკება და მათი გაყიდვის შემთხვევაში მოხდება დაკანონება.

მეორე ეტაპი მოიცავს იმ დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, რომლებიც უარს იტყვიან კომპაქტური ჩასახლებების ობიექტებში არსებული ფართების საკუთრებაში მიღებაზე და კერძო სექტორში ჩასახლებულ დევნილებს. მათთვის მოძიებულ უნდა იქნეს კარკასულ მდგომარეობაში არსებული შენობები და აშენდეს ახალი საცხოვრებელი სახლები.

მესამე ეტაპი მოიცავს 2010-2011 წლებს. ამ ეტაპზე განხორციელდება იმ დევნილთა დახმარებები, რომლებიც არ საჭიროებენ განსახლებას. მათ გაეწევათ ერთჯერადი ფულადი დახმარება. დახმარების ოდენობა განისაზღვრება სახელმწიფოს მიერ. ყველა ეს ღონისძიება მიზნად ისახავს დევნილების სოციალურ ინტეგრაციას, სახელმწიფოზე მათი დამოკიდებულების შემცირებას, რაც მოიცავს ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობას, მიზნობრივ სოციალურ დახმარებებს, განათლებას და სხვა.

სახელმწიფო სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, რა ღონისძიებები განხორციელდა ხობის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ დევნილთა მიმართ?

დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიული გეგმის შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, დევნილთა კომპაქტური ჩასახლების ოთხი ობიექტის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა. კერძოდ: სკოლა ინტერნატის კორპუსი, ხეთის პროფტექნიკუმის ორი კორპუსი, ნოჯიხევის პროფსასწავლებლის ოთხი კორპუსი და თორსა-დღვაბის მეურნეობის სამი კორპუსი.

აფხაზეთის მთავრობის, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების რეგიონალური სამმართველოსა და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლების მიერ საცხოვრებული ფართები გადანაწილებულიქნა დევნილთა ოჯახებზე: სკოლა-ინტერნატის შენობაში ჩასახლებული 56 დევნილი ოჯახიდან 51 ოჯახზე და დამატებით შესახლებულ 2 ოჯახზე გადანაწილდა 67 ბინა.

ნოჯიხევის პროფსასწავლებელში არსებულ 64 ბინა გადანაწილდა იქ რეგისტრირებულ 6 ოჯახზე, აგრეთვე მიწერის გარეშე მცხოვრებმა 6 ოჯახმა მიიღო სულადობის შესაბამისი საცხოვრებელი ფართი, სხვა კომპაქტური ჩასახლებებიდან შესახლდა 25 ოჯახი და 5 ოჯახი, რომელთაც ჰქონდათ კერძო სექტორში მიწერა, მაგრამ წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ კომპაქტურ ჩასახლებებში. სულ ნოჯიხევის პროფსასწავლებელში შესახლდა 35 ოჯახი, გასანაწილებელი დარჩა კიდევ 10 ბინა.

ხეთის პროფტექნიკუმის ორივე კორპუსში არსებული 42 ბინიდან, 40 ბინა გადანაწილდა 28 დევნილ ოჯახზე, გასანაწილებელი დარჩა 2 ბინა.

უახლოეს მომავალში იგეგმება თორსა-დღვაბის მეურნეობის ბინების განაწილება.

შესაბამისად დაიხურება დევნილთა ჩასახლებების შემდეგი ობიექტები: მუსიკალური სკოლა, საბავშვო ბაღი, ბერაიას წარმოება, ქარიატის საბავშვო ბაღი და ახალი ხიბულის ზუბის საბავშვო ბაღი.

როგორია თქვენი სამსახურის სამომავლო გეგმა?

–ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამუშაო ჯგუფის მიერ შესაბამისი სტრატეგიული გეგმის შესაქმნელად ჩატარებულიქნა შემდეგი სამუშაოები: კომპაქტური ჩასახლების ობიექტთა მონიტორინგი, რაიონში არსებული თავისუფალი კარკასული შენობების აღრიცხვა-მონიტორინგი, დევნილთა ოჯახების ანკეტირება პრიორიტეტების გამოვლენის მიზნით. ასევე, ქ. ხობში არსებული დევნილთა ჩასახლების „კოლხეთის მეურნეობის“–8 კორპუსის (რომელიც სასწრაფო რეაბილიტაციას საჭიროებს) ფოტო მასალები გადაეგზავნა სამინისტროს. ყველა ეს სამუშაო შესრულებულია და ახლა მიმდინარეობს მათი ანალიზი, რის შედეგადაც შეირჩევა ხობის მუნიციპალიტეტის დევნილებზე მორგებული სტრატეგიული გეგმა.

P.S

ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯი, რაც ემსახურება დევნილთა სოციალური პირობების გაუმჯობესებას, მისასალმებელია, მაგრამ მაინც ვისურვებდი და თითოეულ დევნილს ვუსურვებდი საკუთარ მიწა-წყალზე დაბრუნებას, რამეთუ მათთვის მშობლიური კერა ყველაფერზე ძვირფასი და სანუკვარია.

ესაუბრა ნინო გერგაია

არსებობს სულის თანმდევი ტკივილი და სევდა, რასაც მიუხედავად ცხოვრების დინებისა, მუდამ თან ატარებ ჩუმად, უხმაუროდ... უფრო გრძნობ ამ ტკივილს, როცა იცი, ის შენს მეგობარს, სულით და ხორცით ახლობელ ადამიანს ახლავს თან.

მოახლოვდა სოხუმის დაცემის დღე და თითოეულ ქართველს სევდა გაუმძაფრდა... რა თქმა უნდა, მეც მათ რიცხვში ვარ... აფხაზეთში დალუპულებს, ენგურსგაღმა სამუდამოდ დარჩენილ ახლობლებს ხშირად ჩურჩულით ვესაუბრები, „თქვენს საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომინდა“ მეთქი.

ამ ტკივილიან დღეს სევდის გასაქარვებლად ჩემს მეგობრებს, აფხაზეთში ყოფილ მოღვაწე ადამიანებს (დევნილებს შეგნებულად ვერ ვუწოდებ) მივმართე. საუბრის თემა რა თქმა უნდა, აფხაზეთი იყო. გთავაზობთ მათთან საუბრის ჩანაწერს.

„ჩემი ზღვა და მიწა დამიბრუნე, ღმერთო!“

სვეტა გვათუა–დევნილთა პოლიკლინიკის მთავარი ექიმი

რას ნიშნავს თქვენთვის აფხაზეთი?

–აფხაზეთი თავისი თვალწარმტაცი ბუნებით, მარადმწვანე ხეთა სავანით და მოლივლივე ზღვაზე მოფარფატე თოლიებით, ძირძველი, ლამაზი ტრადიციების მქონე დარბაისელი, დღეგრძელი აფხაზებით და მათთან თანაშეზრდილი ძუძუმტე, უღალატო ქართველებით, ერთა თანამეგობრობის საუკუნოვანი ისტორიით ქმნიდნენ ზღაპრული კუთხის ლეგენდადქცეულ საარაკო საქმეებს.

ჩემთვის აფხაზეთი ღრმა გულისტკივილი და მოუშუშებელი იარაა, ჩაკეტილი სივრცე და სიზმრად ხილვის აუსრულებელი ნატვრა, სიცოცხლის დასასრულამდე მასთან შეხვედრის აუხდენელი სანუკვარი ოცნებაა.

რა გაძლევთ რწმენას, რომ აფხაზეთში დაბრუნდებით?

–ქართველი ხალხის თანადგომა და ერთიანობა, ხელისუფლებისა და პოლიტიკოსების საზრიანობა, ოპოზიციის გონიერება, ქვეყნის პრეზიდენტის ღვაწლის შეფასება, აგრესიის მოტივის, ომის გამჩაღებელი, დამყრობი ქვეყნის გამომზეურება და უფლის ლოცვა–კურთხევის აღსრულება მაძლევს ღრმა რწმენას აფხაზეთში მიბრუნებისა.

თავად დევნილმა, შესძელით დევნილებისათვის დახარჯულიყავით ისე, რომ კმაყოფილებას გრძნობდეთ?

–საკუთარ მიწაზე, საკუთარ ქვეყანაში ტანჯულ დევნილთა ცხოვრებამ, სულიერად თუ ფიზიკურად დაძაბუნებამ, სასოწარკვეთამდე მისულთა ყოფითმა პირობებმა ამაფორიაქა, საკუთარ კერადაკარგულს, ერთადერთი შვილი დროებით თითქმის მიმავიწყა და 15 წელიწადი მათი ცხოვრების თანაზიარი გამხადა.

როგორ გავისარჯე? ჩემს ჯანმრთელობას მათი ვანაცვალე, აფხაზეთის უაზრო ომში ზვარაკად შეწირული პირტიტველა ბიჭების მშობლებს მათ წინაშე და უფლის სამსჯავროზე ვალმოხდილად წარსადგენად ტკივილი მცირედ მაინც დავუამე.

რას ეტყვით იქ დარჩენილ აფხაზ მეგობრებს?

–უსაშველოდ მენატრებით ჩემო სისხლით ნათესავო, დედით ქართველო, საამაყო აფხაზებო. ტკივილს დროებით გვიქარვებს თქვენთან მალე შეხვედრის რწმენა. მედიკოსებს, ჩემს კოლეგებს, აფხაზ თუ სომეხ გულითად მეგობრებს მიმობეულებს სხვადასხვა უცხო ქვეყნის მიწაზე, ბერძენ და რუს ჩვენგან სიცოცხლებოძებულ პაციენტებს, თბილი და ნანასავით ტკბილი ქართულით გეხმიანებით, გეამბორებით. სევდარამდგარი თვალებით გავყურებთ ზღვის უკიდეგანო სივრცეს, ეგრე სანატრელ ენგურსგადაღმა ქართულ მიწა-წყალს. ნიავის ქროლვას ჩურჩულით ვატანთ თქვენს მონატრებას. მალე ნახვამდის.

ბეჭან ნადარაია–ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ბატონო ბეჭან, ცხოვრების ნახევარი სამსახურებრივად ერთად გავატარეთ. ალბათ, მაინც იქნება ჩემთვის უცნობი ნიუანსები, რაც თქვენში აფხაზეთის ნოსტალგიას განსაკუთრებულად იწვევს, რას იტყვით ამაზე?

–მართალს ბრძანებთ, ჩემი ცხოვრების თითქმის ნახევარი თქვენთან, რედაქციელებთან გავატარე, სანამ არსთა გამრიგე ამქვეყნად ცხოვრებას დამაცდის, ყოველთვის დიდი სიყვარულით მეყვარებით თითოეული თქვენგანი.

სოხუმი და საერთოდ აფხაზეთი, ჩემი მოურჩენელი ტკივილია, ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები იქ გავატარე. სიხმარში ძალიან ხშირად ვხედავ, დავსეირნობ სანაპიროზე, „ამირანის“ ყავახანაში ვზივარ მეგობრებთან ერთად, უნივერსიტეტში პრაქტიკულებს ვატარებ და ასე შემდეგ... მოკლედ, სასწაული ნოსტალგია მაქვს. თქვენთან ბევრი მისაუბრია ამ თემაზე, ალბათ გახსოვთ ჩემი მონაყოლი „პრიკლუჩენიები“. მიგიხვდი, მაინც გინდა განსაკუთრებული რამ მათქმევინო, ჰოდა გეტყვი, დიდი სიყვარულიც იქ მეწვია... ამიტომაც ასე ძალუმად მიყვარს სოხუმი...

რა გაძლევთ რწმენას, რომ აფხაზეთში დაბრუნდებით?

–თუ ადამიანმა რწმენა დაკარგა, ის ყველაფერს კარგავს. ცხოვრებაც მოსაწყენია და უფერული. სანამ ცოცხალი ხარ უნდა იბრძოლო, დიდმა მწერალმა ლ. ქიაჩელმა დიდებულად თქვა: „გულს თუ არ უჭირს ცხოვრება არაფრად არ ღირსო“.

ჩვენი ხელისუფლების ყოველდღიური საზრუნავი დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება და გამთლიანებაა. ერმა და ბერმა ყველამ უნდა გაითავისოს, რომ დროებით დაკარგული უნდა დავიბრუნოთ, რაც მთავარია, მომავლის რწმენა არ დავკარგოთ. მეც იმედით ვცხოვრობ და მჯერა, რომ დავბრუნდებით. ზღვას „რომელიც შორია“ მალე ახლოს ვიხილავთ. შესანიშნავად აქვს ნათქვამი დიდ კლასიკოსს ო. ჭილაძეს „ბედნიერება უნდა მოითმინოო“. ამიტომაც ვითმენთ ალბათ. ვინც, ამასწინათ, ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტის სიტყვა მოისმინა გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე, არ შეიძლება აფხაზეთში დაბრუნების რწმენა დაკარგოს. მან დამაჯერებლად თქვა: „ეს დღე აუცილებლად დადგება. ვოცნებობ იმ დღეზე, როდესაც როგორც აფხაზეთი, ისე ცხინვალის რეგიონი, გაერთიანებული, დემოკრატიული, დამოუკიდებელი და ევროპული საქართველოს ლიდერი გახდება. დროა, ერთად დავდგეთ და ერთმანეთს დავეხმაროთ გადარჩენასა და წინსვლაში“–ამის შემდეგ რწმენა დაბრუნებისა, როგორ არ უნდა მქონდეს?

ვიცი, იუმორის გრძნობა არასოდეს გტოვებთ, ზოგჯერ წუხილის დროს სასაცილო მომენტებიც ხშირადაა, გაიხსენებთ რაიმეს?

–არ მახსოვს ვინ თქვა, მაგრამ კარგად არის ნათქვამი „ვისაც იუმორის ნიჭი არა აქვს, დამნაშავეაო“. მე არ ვიცი ეს ნიჭი თუ მაქვს, მაგრამ ყველაფერს მშვიდად ვუყურებ. „გაცეცხლებული“ არასოდეს ვყოფილვარ.

საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ვარ ნამყოფი (ამაში პროფესიაც მიწყობს ხელს). ექსპედიციის დროს ჩვენთან ლექტორებიც დადიოდნენ. იყო შემთხვევა მათი ხასიათი, მოქცევა თუ ჟესტიკულაციაზე პაროდიები შემისრულებია, ამიტომ ერთ დღეს „დამსაჯა“ პროფესორმა ვალერიან ზუხბაიამ, თავის მანქანაში არ ჩამსვა და ფეხით 20 კილომეტრი მატარა, ხშირად ამის გამო სუფრაზეც არ მპატიჟობდნენ. მთელ დუნიას მოსდებსო ჩვენს სიმთვრალეს და... მოკლედ, სხვა დროს უფრო დეტალურად მოგიყვებით ზოგიერთ რამეებზე.

როგორც ხშირად გთხოვდით, გაიხსენეთ ახლად „ნასწავლი“ ლექსი ან ბოლო წაკითხულიდან ამონარიდი.

–ბოლო პერიოდში წავიკითხე, ვარლამ შალამოვის მოთხრობები, ეს არის ის კაცი, რომელმაც მთელი ცხოვრება, „არქიპელაგულაკში“ გაატარა. საოცარი მოთხრობაა. ასეთი ბედის მატარებელია, ჩვენი სახელოვანი მწერალი ლევან გოთუა, რომლის მოთხრობებს თუ ნოველებს ვინ იცის მერამდენედ ვკითხულობ. ერთ კატორღელს უთქვამს:–„ეს ის ადამიანია, ვისაც სინდისი ცრემლზე უფრო სუფთა აქვსო.“ თვითონ კი ერთ ნოველაში წერს „კაცმა ისე უნდა იცხოვროს, არავის ეცოდებოდესო.“

სულ რამდენიმე დღეა საკადრო ცვლილებებში „მოყოლილი“ ახალ სამსახურს ხელმძღვანელობთ, რა პრობლემები დაგხვდათ, კმაყოფილი ბრძანდებით?

–ახალ სამსახურში თითქმის ჩემი ნაცნობები დამხვდა. პრობლემები, რა თქმა უნდა, არის (ურთიერთობებს არ ვგულისხმობ). მაგრამ დაუძლეველი არაფერია. კმაყოფილებაზე საუბარი ჯერ ნაადრევია, მაგრამ ვეცდები, რომ ყველაფერი კარგად წარიმართოს. თუ ეს არ მოხდა, ჩათვალეთ საკადრო ცვლილებებში სამუდამოდ „მოყოლილი“ ვიქნები.

იყავით გულახდილი, რას უსურვებთ გაზეთს, რა დაგრჩათ შეუსრულებელი, რაც უკმარისობის გრძნობას გიტოვებთ?

–სასიამოვნოა, რომ გაზეთს სახელწოდება შეეცვალა. ახალ ხელმძღვანელობას იმ ტრადიციების გაგრძელებას ვუსურვებ, გაზეთს ოდითგანვე რომ ჰქონდა. შეუსრულებელი? თქვენი შენიშვნები და მეგობრული რჩევები რომ გამეთავალისწინებინა (განსაკუთრებით, შენი და ნანის), უკმაყოფილების გრძნობით არ დავტოვებდი თქვენს და ჩემს რედაქციას.

კარგად მიცნობთ და იცით, ხშირად მითქვამს ჩარლი ჩაპლინის შვილისთვის ნათქვამი სიტყვები: „მე ანგელოზი არ ვყოფილვარ, მაგრამ მუდამ ვცდილობდი ვყოფილიყავი ადამიანი, ეცადე შენც“.

სულ გამარჯვებებით გევლოთ.

საუბარი ჩაიწერა მერი ლაგვილავამ

„სიცოცხლე, თუნდაც ამიტომ, ღირდა!“

უბის წიგნაკში ჩანიშნული მისამართისაკენ გავუყევი გზას. „თამარ მეფის 7“, ამ მისამართზე დღემდე ოლიმპიური რეზერვების სპორტული კომპლექსია რეგისტრირებული. ეზოში ბავშვების ჟრიამული ისმოდა. არა, აქ ოლიმპიური დონის სპორტულ შეჯიბრებებზე დასასწრებად არ მოვსულვარ. თუმცა, იყო დრო, როცა ამ ტიპის ღონისძიებებზე აქ საბჭოთა თუ ევროპული დონის კვარცხლბეკები სხვადასხვა თაობის სპორტსმენებს დაუპყრიათ. დღეს ამ შენობაში აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა ცხოვრობს, ამ ფუძეაყრილ ხალხს აქაურობა მშობლიურ კერად ქცევიათ და ყოველდღიური ფუსფუსით განაგრძობენ ცხოვრებას, ადგილობრივი თვითმმართველობა კი მაქსიმალურად ზრუნავს მათი კეთილდღეობისათვის.

...კიბეებს ტაატით ავუყევი. ვფიქრობ, საიდან დავიწყო ჩემს რესპონდენტთან საუბარი, ნუთუ, წარსულის ნოსტალგიით მრავალ ჭირ–ვარამ გამოვლილ უხუცესს ტკივილი მივაყენო? ვფიქრობ, და... მეგრულმა „მოზოჯ, სკან გოლუაფირო“-მ (მობრძანდი, შენ შემოგევლე) ფიქრებიც გამიფანტა.

ბატონი პარმენ გეგეჭკორი აფხაზეთიდან დევნილი, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი და ამაყი ბაბუაა. ცხოვრების ტკივილს თითქოს მის თვალებში ამოიკითხავათ. მტკიცე და უტეხი ხასიათის მოხუცისათვის მძიმე ტვირთად ქცეულა დანაწევრებული საქართველო. ფიქრობს, რომ თუნდაც იმისათვის უნდა იცოცხლოს, გაერთიანებული საქართველოს ხილვა რომ შეძლოს.

პარმენ გეგეჭკორი (მარცხნივ) მეგობარ ტერენტი ხუბუასთან ერთად.

ბატონო პარმენ, მოგვიყევით თქვენს შესახებ?

–მე ერთი უბრალო მოხუცი ვარ, ჩემი ცხოვრების მიზანი მხოლოდ სიკეთის კეთება იყო და ვფიქრობ, ეს შევძელი. თუმცა ცხოვრების მძიმე წუთებმა ძალიან გამტეხეს. ალბათ ყველაფერი ღვთის ნებაა. ვიცხოვრე ისე, რისთვისაც სიცოცხლე ღირდა..

გალის რაიონის სოფელ გუდავაში დავიბადე 1914 წელს, მყუდრო და ბედნიერ ოჯახში სამ დასთან ერთად ვიზრდებოდი. ჩემივე რაიონში მივიღე საშუალო განათლება. მოგეხსენებათ, რომ იმ პერიოდში განათლება ფუფუნებას წარმოადგენდა, დღეს კი ეს ყველასთვის ხელმისაწვდომი და აუცილებლობაა. სკოლამდე მანძილი 25 კმ-ს შეადგენდა და მას თანასოფლელ ტერენტი ხუბუასთან ერთად გავდიოდი. სკოლის დამთავრების შემდეგ მშობლიურ სოფელში მცირე ცოდნის მქონეთა და უცოდინართა სკოლაში ყველა ასაკის მსურველს ვასწავლიდი წერა-კითხვას.

მინდა გითხრათ, რომ ვიყავი მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, სადაც ორჯერ დავიჭერი. ვმუშაობდი რაიონში სხვადასხვა თანამდებობებზე. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ურთიერთობა მქონდა, როგორც ქართველ, ასევე აფხაზ და სხვა ეროვნების ხალხთან. აფხაზებთან განსაკუთრებული ურთიერთობა მაკავშირებდა. ძალიან მოწესრიგებული და სტუმართმოყვარე ხალხია. დღესაც მახსოვს, ჩვენს სოფელში ავტობუსის მძღოლად აფხაზი მამაკაცი მუშაობდა. იმდენად პუნქტუალური იყო, რომ მის სატრანსპორტო განრიგზე მოსახლეობა საათის სისწორეს ამოწმებდა. არაჩვეულებრივი მოლხენა იცოდნენ, სტუმრის პატივისცემა კი ბუნებრივ „სიმპტომად“ ჰქონდა გამჯდარი, ჩვენს შორის არ არსებობდა არანაირი დისკრიმინაცია. ურთიერთობაში ყველანი თანასწორნი ვიყავით, სწორედ ეგ არის იმ მეგობრობის მიზეზი, რომელიც დღესაც არსებობს, მიუხედავად მავანთა „კეთილი“ ნებისა. მე მაინც მჯერა, რომ ჩატეხილი ხიდი აუცილებლად აღდგება.

რითი ამაყობთ?

–ვამაყობ ჩემი ოჯახით, ჩემი ცხოვრებით. ცხოვრების ტრაგედიამ ვერაფერი დამაკლო. ორი ვაჟიშვილი აფხაზეთის ომის შემდეგ გარდამეცვალა, თუმცა ისე იცხოვრეს, სახელი და დიდება არ აკლდათ. ჩემი შვილიშვილი გიორგი გეგეჭკორი თბილისი–მცხეთა–თიანეთის საპატრულო პოლიციის უფროსია და კეთილსინდისიერად უდგას სათავეში ამ საპასუხისმგებლო საქმეს. მეორე შვილიშვილი ნანა სამედიცინო უნივერსიტეტის დოქტორანტია (ამჟამად აშშ-შია).

ბატონო პარმენ, დღეს სოხუმის დაცემიდან 17 წლის შემდეგ, ვისი ან რისი გჯერათ?

მე საქართველოსი მჯერა, მე ჩვენი პრეზიდენტის მჯერა, მჯერა მშვიდობისა, რომელიც აუცილებლად იქნება. საქართველოში ყველა ქართველია და ქართველთა სულისკვეთებას მავანი ვერაფერს დააკლებს. მინდა ვიხილო ერთიანი საქართველო, რომ ერთხელ მაინც ვთქვა „სიცოცხლე, თუნდაც ამიტომ, ღირდა!“

P.S. ხშირად ვფიქრობ და ვრწმუნდები, რომ როცა გაქვს წარსული და უძლებ აწმყოსაც, აუცილებლად მომავალი გექნება.

ესაუბრა ირმა გოგია.

ბავშვების თვალით დანახული აფხაზეთი 1992 წელი

კოდორის ხეობის შვილები

ელვირა გორიუხინა

„ეს 14 აგვისტოს მოხდა. ჩვენს სახლში, სოხუმში ვიყავით. დაიწყო საშინელი სროლა. სოხუმში გემი შემოვიდა, რომელმაც სოხუმის და მისი შემოგარენის დაბომბვა დაიწყო. ჩვენ გვეშინოდა და თავშესაფარში ვიმალებოდით. მოვიდა ბიძაჩემი, ჩაგვსხა მანქანაში. ჩვენს გარდა ბევრი ხალხი იყო, ყველანი სოხუმში წავედით. ერთი წლის ბრძოლების შემდეგ სოხუმი დაეცა. ეს ყველაფერი 1993 წელს მოხდა.“

ნანული გულბანი, 14 წლის.

„ამ საშინელ ომში ჩემთვის ყველაზე ძვირფასი დავკარგე–დედა. დავკარგე, როდესაც ყველაზე უფრო მჭირდებოდა. ჩემი უფროსი ძმაც დაიკარგა. ის იბრძოდა და დაიღუპა. ისე ახალგაზრდა იყო, რომ წვერ-ულვაშიც კი არ ქონია. სრულიად ახალგაზრდა წავიდა საკუთარი მიწის დასაცავად. ეს ჩვენი ოჯახის საშინელი ტრაგედია იყო. ჩემს გულში ამან ზღვარი გაავლო. ხომ შეიძლებოდა, ეს საშინელი ომი არ დაწყებულიყო. ჩვენი სულები გათელილია!“

მაია გუჯეჯიანი, 13 წლის.

„სოხუმის დაცემა. 1993 წლის 16 სექტემბერს ომი განახლდა. 27 სექტემბერს 15 საათზე სოხუმი დაეცა. ჩვენ დავკარგეთ აფხაზეთი. მსოფლიოს ყველაზე თბილი ქალაქი ცეცხლის ალში იყო გახვეული და სავსე–თვალღია მკვდრებით. ამ საშინელი წუთების დავიწყება შეუძლებელია. მე ამას ჩემს სიცოცხლეში ვერ დავივიწყებ.“

ნანა ოყრეშიძე, 15 წლის.

„სოხუმში ომი მიდიოდა, მე საშინლად მტკიოდა კბილი. დედამ დილით კბილის ექიმთან წამიყვანა. ექიმმა შემიცოდა. გმირი მიწოდა, რადგან ქალაქში ვარ იმ დროს, როდესაც დაბომბვები მიდის. კიდეც რომ მომკვდარვიყავი, სოხუმში დავრჩებოდი. კბილი ამომიღეს. დედამ საჩქაროდ წამიყვანა. ამ დროს დაბომბვა დაიწყო. ყუმბარები სახლებს ხვდებოდა. დედას ძალიან შეეშინდა. ცდილობდა ამფარებოდა, ფიქრობდა ამით გადამარჩენდა. ორივენი შიშისაგან ვკანკალებდით, მე ამას ვგრძნობდი. ქუჩაში მკვდრები ეყარა. სახლები იწვოდა. მე და დედა შემთხვევით გადავრჩით. ეს ყველაზე საშინელი დღეა ჩემს ცხოვრებაში“.

ლევან პირველი, 15 წლის.

„მეორე კლასში ვსწავლობდი, როდესაც დაიწყო ძმათამკვლელი ომი აფხაზებსა და ქართველებს შორის. ეს იყო მტკივნეულად მოფიქრებული ომი. დღემდე ბოლო არ უჩანს ადამიანთა ტანჯვას. მშიერ-მწყურვალი ხალხი სამშობლოს საზღვრებს გარეთ არის გაფანტული. მე, დევნილს, ჩემი სახლი და ჩემი სკოლა მენატრება. ჩემად ვერ აღვიქვამ სკოლას, რომელშიც ახლა ვსწავლობ“.

სოფიკო ჩოფლიანი, 11 წლის.

„1994 წლის მარტში ბომბავდნენ კოდორის ხეობის სოფლებს. მამა პოზიციებზე იყო. დედამ არ იცოდა, სად დავმალულიყავით, გავიქეცით ტყეში. დიდი შიში გადავიტანე, მეგონა, ცხოვრება იქ დამთავრდა. მივხვდი, რომ მტრისთვის სულერთი იყო, სად ბომბავდა, ვის ბომბავდა“.

სოფიკო ჯაჯვლიანი, 13 წლის.

დჯეპა „ქაქი დიდებისა“

17 სექტემბერი, 1992 წელი

სოხუმში დარჩენილი უკანასკნელი ქართველები იბრძვიან... გამოყრუებულ ქალაქს ავტომატების კაკანი და უეროვნებო, უღირსებო ადამიანთა ხორხოცი აყრუებს... ქართველებისგან იწრიტება ქალაქი და იწრიტება ქალაქის სიცოცხლეც... სიმწრით და სიმშვიდით ნათქვამი „გავდივართ“... შემდეგ იმედი, რომ „ისინი“ სიტყვას შეასრულებენ...მოედანზე ქართველი ტყვეები გამოყავთ უღირსობისა და ლაჩრობის ტყვეებს... სიმშვიდე, შეგნებული მომავლის სიმწარე და მწარე სინანული იკითხება ქართველთა სახეებზე. სინანული იმისა, რომ მეტის გაკეთება შეიძლებოდა... შეურყევლად დგანან კლდიდან გამოთლილები, თანამდებობის პირები, ადგილობრივები და განთქმული „ავღანელი“ ბიჭები, რომლებსაც დატყვევებულთაც კი ვერ გაუბედეს შეურაცყოფა. დგანან და საქართველოს მთელი ისტორია აწევთ მხრებზე... დაძაბულ სიჩუმეში კი გრდემლზე დაკრული ეროს ხმასავით გაისმის დაცემული ქალაქის მერის ხმა: Никогда в жизни! არასდროს ცხოვრებაში! ვერ დააჩოქეს... „სიკვდილშიც არის გამოსავალი— ღირსეული სიკვდილი!“ და მათ გამოსავალი იპოვეს! იპოვეს განსხვავებით დანარჩენი ქართველებისგან, რომლებმაც ისიც კი ვერ გაბედეს, რომ სიმართლე ეთქვათ სოხუმში დარჩენილი გმირებისთვის. ვერც ის მოახერხეს, დახმარების გაწევა გადაეწყვიტათ და როცა ეს მოახერხეს, დაცემული სოხუმისკენ ჯარის გაგზავნის მარშრუტის შეთანხმება ვერ შეძლეს. სოხუმში კი თითოეული ქართველი ძვირად ფასობდა... იმ დროს, როცა ენგურის აქეთა ნაპირზე ვაჭრობდნენ, თუ რის ფასად არ დაგერეოდით ერთმანეთს, ენგურსგაღმა თოლიებზე, ზღვასა და აფხაზეთზე შეყვარებული ხალხი უკანასკნელ ვაზნებს იზოგავდა... ეს აღარ უნდა განმეორდეს!..

27 სექტემბერი, 2010 წელი

აფხაზეთი:

იმ ადგილზე, სადაც ქართველებს ზღვის ყურებისას დახვრეტა „მიუსაჯეს,“ ახლა ზეიმია... ზეიმია და ეს ზეიმი ამაზრზენად გავს იმ ხორხოცს, სოხუმის დაცემის დღეს რომ იყო უზენაესი საბჭოს შენობასთან... იგივე, შეშლილი, ცხოველური სახეები, იგივე მენტალიტეტი, იგივე გაუთლელი ცეკვები და პირველყოფილი ღმუილი...

საქართველო: დამწუხრებული სახეები, შაოსანთა ჩუმი ტირილი და ღირსეული პატივი დაღუპულთ... ზალპი და შეგნებით აღსავსე სახეები... დედების ტირილი, მამების შეჭმუხნილი წარბები და გულანთებულ ახალგაზრდათა სახეები... იმის შეგნება, რომ ეს აღარ უნდა განმეორდეს! იმის შეგნებით, რომ თითოეული ქართველი გააკეთებს ყველაფერს სოხუმისთვის... არა დაჩოქილი, არამედ დაცემული სოხუმის ფეხზე წამოსაყენებლად და არა დაჩოქებულ, არამედ დაცემული გმირების საქმის გასაგრძელებლად! იმის რწმენით, რომ თითოეული ქართველი, როცა „ჟამი დადგება“ ღირსეულად შეეგებება ყველაფერს და თამამად იტყვის Никогда в жизни! არ დაიჩოქებს არც აფხაზეთი და არც საქართველო... არასდროს ცხოვრებაში!!!

შოთა თუთბერიძე

სტუმარი

ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მის სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროში მიმდინარეობს რადიკალური ცვლილებები. სხვა დარგებთან ერთად ხდება განათლების მისთვის უჩვეულო რელსებზე გადასვლა. ხელისუფლებისათვის პრიორიტეტულია სფერო, რომელიც სახელმწიფოს ქვაკუთხედია და მის მომავალს ანუ განათლებას წარმოადგენს.

განათლების სფეროში ძირითადი ფიგურა მასწავლებელია. იგი ერის სულიერი ძარღვია, რომელიც მტკიცედ აკავშირებს ქვეყნის წარსულს, აწმყოს და მომავალს ერთმანეთთან.

ხობის მუნიციპალიტეტის მასწავლებლები საქართველოს განათლების სისტემის ღირსეული წარმომადგენლები არიან. ისინი ქვეყნის წინაშე ყოველთვის გრძნობდნენ განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას. დიდია მათი წვლილი ქართული ენის, კულტურის, ქართული ტრადიციების ეროვნული ცნობიერების აღორძინებაში. ისინი აქტიურად არიან ჩართულნი, განათლების რეფორმის განხორციელებაში.

მაშინ, როცა იქმნებოდა ახალი ეროვნული სასწავლო გეგმები, სახელმწიფო–საგანმანათლებლო სტანდარტები და სასწავლო პროგრამები, რომლებიც ორიენტირებულია თითოეული ბავშვის ინტერესების სფეროზე, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მასწავლებელთა გადამზადება, მათ მიერ ახლებური მიდგომების დამკვიდრება, უნარებისა და ჩვევების აღზრდა და სწავლების სრული ინდივიდუალიზაცია.

მასწავლებელთა საერთო დონის ამაღლების, ახალ სტანდარტებზე გადასვლისათვის მზაობის მიზნით ქვეყანაში ჩატარდა მასწავლებელთა სერთიფიცირება, რომელშიც ჩვენი მუნიციპალიტეტის მასწავლებლებიც მონაწილეობდნენ.

ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთ „ხობის მოამბე“-ს სტუმრები არიან ის მასწავლებლები, რომლებმაც წარმატებით გაიარეს სერთიფიცირება და პირველად მუნიციპალიტეტის განათლების სისტემის ისტორიაში მოიპოვეს მასწავლებელთა სერთიფიკატები.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს საქმიანი დიალოგისათვის ლამაზი და თბილი გარემო, ის უშუალო დამოკიდებულება და განწყობა, რომელიც შექმნა ხობის რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ქალბატონმა ხათუნა გერგაიამ. მანვე წარმოგვიდგინა რუბრიკის სტუმრები:

1. ჯულიეტა ქვარაია, ხობის №1 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

2. ნანა ქვარაია, ხობის №2 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

3. ნინო ცხადაია, პირველი მაისის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

4. ეკა ცხადაია–ნოჯიხევის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

5. ვიოლეტა მიქავა–ნოჯიხევის №1 საჯარო სკოლის რუსული ენის მასწავლებელი.

6. ნათელა გიგაშვილი–წინაგოლის საჯარო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

7. ნათია ქანდარია–II გურიდფულის საჯარო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

8. მაგდანა ცქიტიშვილი–თორსის საჯარო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

რუბრიკის სტუმრები ჩვეული გულახდილობით პასუხობენ იმ კითხვებს, რომელიც ჩვენს საზოგადოებას აინტერესებს

„არა მარტო ასწავლი, არამედ შეც სწავლობ“

თქვენი აზრით, ზოგადად, როგორ მიმდინარეობს განათლების რეფორმა, ანუ როგორია მისი მოთხოვნები და განხორციელება დროში?

ნანა–განათლების რეფორმა ჩვენს ქვეყანაში თანმიმდევრულად მიმდინარეობს. ჩემი აზრით, ამის განხორციელება აუცილებელი იყო. ამ რეფორმამ აამაღლა განათლების ხარისხი. თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, მას თან ახლავს ხარვეზებიც.

ნათელა–ჩვენ გადავედით ცხოვრების სხვა ეტაპზე, რომელიც ყველა სფეროში სულ სხვა მიდგომებს მოითხოვს, განსაკუთრებით განათლებაში, ამიტომ რეფორმა იყო აუცილებელი. იგი ზედმიწევნით მიმდინარეობს, აქვს საკმაოდ მაღალი დინამიური მოთხოვნები. შეიძლება ბევრი სირთულეების გადალახვა გვიწევდეს, მაგრამ რეფორმა უნდა განხორციელდეს რაც შეიძლება სწრაფად. იმისათვის, რომ ჩვენი ახალგაზრდობა მსოფლიო ცხოვრების რიტმს არ ჩამორჩეს.

თვლით თუ არა საჭიროდ მასწავლებელთა სერთიფიცირებას, რა მოგცათ ამ ეტაპის გავლამ?

ჯულიეტა– რა თქმა უნდა, ვთვლიდი საჭიროდ, სხვა შემთხვევაში მონაწილეობას, ბუნებრივია, არ მივიღებდი. ამ ეტაპის გავლამ ბევრი რამ შემძინა. ჯერ ერთი, რომ განვითარებად პროცესში ხარ, ახალ ამპლუაში გიწევს ყოფნა. ბევრ ახალ ინფორმაციას ღებულობ თანამედროვე სწავლისა და სწავლების პროცესის გარშემო, ერთი სიტყვით, არა მარტო ასწავლი არამედ სწავლობ. ყოველივე ეს პროგრესია და აუცილებლობაცაა, თითოეული მასწავლებელი ამ საკითხებით იყოს დაკავებული.

ნინო–წლების მანძილზე განათლების სფეროში უამრავი რეფორმა ხორციელდებოდა, მაგრამ მიმდინარე რადიკალურად განსხვავებულია და ყველა სფეროს მოიცავს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ზოგადი განათლების ხარისხის ამაღლებას, სასწავლო პროცესის გამჭვირვალობას, ხელმძღვანელობის და შეფასების სისტემის დახვეწას. ატესტატის მნიშვნელობის გაზრდას, მასწავლებლის პროფესიონალიზმის გაზრდას. მოსწავლე და მისი ინტერესები რეფორმის ცენტრში დგას, გათვალისწინებულია ყველანაირი შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა ინტერესები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინკლუზიურ განათლებას.

ცნობილია, რომ სასწავლო პროცესის ორგანიზება საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციაა. აქედან გამომდინარე, რა სიახლეებია თავად სასწავლო პროცესში.

ვიოლეტა–თავად სასწავლო პროცესში ძალიან ბევრი სიახლეა: მოსწავლეებს მიეცათ მეტი თავისუფლება, მათ აქვთ არჩევანის საშუალება. დაინერგა ჯგუფური, წყვილური, სადისკუსიო მუშაობის ფორმები, პროექტზე მუშაობა, პრეზენტაციები, ინტეგრირებული გაკვეთილები... მოკლედ, სასწავლო პროცესი უფრო შემოქმედებითი გახდა. თანამედროვე მოსწავლე უკვე თამამად სარგებლობს საინფორმაციო ტექნიკით.

ნანა–სასწავლო პროცესში ძალიან ბევრი სიახლეა. ეროვნულ სასწავლო გეგმაში, კარგადაა აღწერილი ეს სიახლეები, თუმცა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ამ რეფორმის შესაბამისად მთავარია მოსწავლე და მის მიერ მიღებული ცოდნის ხარისხი და არა რაოდენობა.

საინტერესოა, როგორ გაიხსენებდით თქვენი მოსწავლეობის პერიოდს, გყავდათ მასწავლებლები, გიტარდებოდათ გაკვეთილები, როგორ შეადარებდით იმ დროს დღევანდელობასთან ანუ იყვნენ თუ არა მაშინაც ე.წ. „ნოვატორი“ მასწავლებლები, რა მდგომარეობაა დღეს?

ჯულიეტა–ნებისმიერ ადამიანს ბავშვობის ნოსტალგია გააჩნია და მეც სიამოვნებით მოვიგონებდი ამ პერიოდს. დღევანდელობასთან მხოლოდ იმ მხრივ შევადარებდი, რომ მაშინაც იყვნენ და დღესაც არიან კარგი მასწავლებლები. კარგს ვამბობ, თუმცა მასწავლებელი ცუდი და მავნე არასოდეს არ არის. ყველანი ადამიანები ვართ და მხედველობაში გვაქვს მეტნაკლები პროფესიული შესაძლებლობები, რომელსაც გვერდს ვერ ავუვლით. სასწავლო პროცესის მაშინდელი მიზანი იყო სხვა, ანუ ორიენტირი იყო ცოდნის რაოდენობაზე და არა იმდენად ხარისხზე. ე.ი. ვღებულობდით ძალიან ბევრ ინფორმაციას, რაც თავისთავად კავშირში იყო დამახსოვრებასთან,, ხოლო რეფლექსია, წვდომა, გაგება, გააზრება იყო აბსოლუტურად ზედაპირული. ამჯერად, რეფორმის წარმატებულობა სწორედ შედეგზე ორიენტირებული სწავლებაა, არა მხოლოდ ცოდნის რაოდენობა, არამედ – ხარისხი.

ეკა–მე-2 საშუალოს სკოლა დავამთავრე, სწავლა მიყვარდა და იოლადაც გამომდიოდა, მაგრამ ნამდვილად არ ვიყავი ტიპიური ხუთოსანი. უფრო საძაგელი, ძალიან მოუსვენარი არსება გახლდით. საზიზღარი ფორმები გვეცვა და არ მახსოვს სახლში ისე მოვსულვიყავი, რაიმე მოხეული ან მოგლეჯილი არ მქონოდა. აბსოლუტურად ყველა ნიშანი მიმიღია. ხშირად დავუსჯივართ ხან დამსახურებულად, ხან დაუმსახურებლად. საბჭოთა და დღევანდელი სკოლის შედარებაც არ შეიძლება. ახლა მივესალმებით კრიტიკულ დამოკიდებულებას ფაქტებისა და მოვლენებისადმი. მაშინ ბევრი რამე იყო დასჯადი. კლასელები რომ შევიკრიბებით, სიცილით ვიხსენებთ, რა ძვირად დამიჯდა დერეფანში გამოჭიმული ფანერის ლენინისთვის წკიპურტის ჩაკვრა. ძალიან კარგი პედაგოგები მყავდნენ და ძალიან მიყვარს ისინი. ქართულის მასწავლებლებმა გადაწყვიტეს ჩემი პროფესიული არჩევანი. პატარაობისას წარმოდგენებში ლალი სურმავა ვიყავი, უფრო დიდობისას ლამარა კვარაცხელია. ძალიან მიყვარდა მათემატიკა და რუსული. ვალია იაკოვლევნას „უმნიცა“ ახლაც თბილ ტალღად გადამივლის გულზე.

საინტერესოა თქვენი შთაბეჭდილებები მასწავლებელთა პირველი სერთიფიცირების შესახებ, რას გვეტყვით?

ნათელა–მასწავლებელთა პირველი სერთიფიცირების შესახებ შემიძლია ვთქვა, რომ ის ობიექტურად ჩატარდა

მაგდანა–მასწავლებელთა პირველმა სერთიფიცირებამ არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია საზოგადოებაში. მართალია სერთიფიცირებულია მასწავლებლების მხოლოდ 11%, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ მასწავლებელთა უმრავლესობამ საგანი მაღალ ქულაზე ჩაბარა. პროფესიული უნარები კი ჩვენითვის ახალია და მე ღრმად ვარ დარწმუნებული, მომდევნო ეტაპზე პედაგოგები ამ ბარიერსაც წარმატებით გადალახავენ.

კონკრეტულად რა საგნებში ჩატარდა ტესტირებები, როგორი სირთულის იყო კითხვები, თვლით თუ არა ტესტებში მოცემული საკითხების ცოდნის საჭიროებას მასწავლებელთათვის.

ნინო–ტესტირებები ჩატარდა ქართულში, მათემატიკაში, უცხო ენასა და პროფესიულ უნარებში. საკითხები მოიცავდა, როგორც საგნობრივ კომპეტენციას, ასევე პროფესიულს– მასწავლებლისათვის საჭირო უნარ-ჩვევების დაგეგმვის შეფასების და აქტივობების გააზრებულ ცოდნას, რასაკვირველია, ეს ყველაფერი გაკვეთილის მაღალპროფესიულ დონეზე ჩასატარებლადაა საჭირო.

მაგდანა–მე, როგორც რუსული ენის მასწავლებელმა, შემიძლია ვთქვა, რომ ტესტი რთული იყო, თუმცა არადაუძლეველი რა თქმა უნდა ტესტში იყო ის საკითხები, რომელიც მასწავლებელმა აუცილებლად უნდა იცოდეს.

ჩვენ, არც თუ ისე ხშირად, მაგრამ მაინც გვესმის შენიშვნები ახალი სასწავლო გეგმების, შესასწავლი მასალების, თვითონ განათლებაში არსებული ეროვნული საკითხების უგულებელყოფის შესახებ. თქვენ რას გვეტყვით ამ საკითხზე.

ჯულიეტა–შენიშვნას აქვს არსებობის უფლება, მაგრამ ეს შენიშვნები, ცოტა არ იყოს, ზედაპირული მგონია. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, რომელიც ერთგვარად მოიცავს მთელი საგანმანათლებლო სისტემის რეფორმის არსს, იწყება ასე: ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. მოზარდმა უნდა შეძლოს ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება და ა.შ. ვფიქრობ, კომენტარი ზედმეტია. საკმაოდ ყბადაღებული თემაა სასწავლო მასალებიდან ქართველი მწერლებისა და, ზოგადად, ეროვნული თემატიკის ამოღება, რაც ნამდვილად არ არის ამოღებული, უბრალოდ, ძველი მასშტაბებით შეიძლება არ იყოს და, საერთოდ, საპროგრამო ნაწარმოებები გასცდა ძველი კლასიკოსების ზღვარს, არის საკაცობრიო მნიშვნელობის საკითხები, ბანალური კითხვები, მსოფლიო ადამიანური პრობლემები, რომელთა გადაწყვეტა და პასუხების ძიება, რაც უფრო ვრცელია მწერლობის საზღვრები, ინფორმაციული სივრცე, მით უფრო მისაღწევია. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ მწერალი, ხელოვანი და ასე შემდეგ, არ არის მხოლოდ ერთი ქვეყნის საკუთრება, ის მსოფლიო საკუთრებაა. ისწავლება მსოფლიო მწერლობის ნიმუშებიც, რაც ვფიქრობ, აუცილებელია და არამცდაარამც ხელს არ უშლის ქართული მწერლობის გაგებას. ამავე დროს, მასწავლებელი თავისუფალია თავის არჩევანში, რას ასწავლის და როგორ ასწავლის.

ეკა–სასურველია, დაიკონკრეტოთ რას გულისხმობთ „ეროვნული საკითხების უგულვებელყოფაში“. ვინ ან რის აკრძალა ეროვნული ღირებულებების ერის მოღვაწეები, ეროვნული ლიტერატურა? პირიქით, სახელმძღვანელოები უფრო საინტერესო გახადა და მრავალფეროვანია არჩევანიც. ეს ხელმოცარულთა იდეოლოგიაა.

ვიოლეტა–მე ვთვლი, რომ თვითონ მაწავლებელი უნდა იყოს მაღალი მორალური თვისებების მატარებელი და ეროვნული მუხტიც თავად უნდა შეიტანოს გაკვეთილზე.

ვიცით, რომ კრიტიკული აზროვნება რაღაც ძალიან კარგია, ისეთი უნარია, რომელიც გვეხმარება, თავი გავართვათ XXI საუკუნის მოთხოვნებს. კრიტიკული აზროვნების მეოხობით ღრმად ჩავწვდებით ყველაფერს, რასაც ვსწავლობთ თუ ვაკეთებთ, და მაინც რა არის კრიტიკული აზროვნება?

ჯული–„რაღაც ძალიან კარგია,“ ძალიან პათეტიკურად დასმული კითხვაა. კრიტიკული აზროვნება, უპირველესად, არის თავისუფლება, აზრის თავისუფლება. ინდივიდუალურობა, რაც ძალიან სჭირდება საზოგადოების თითოეულ წევრს. არა მარტო XXI ს-ის მოთხოვნაა კრიტიკული აზროვნება, უბრალოდ, სოციალიზმის მშენებლობას შეჩვეული საზოგადოების უდიდესი წყურვილი იყო აზრის, სიტყვის, პოზიციის თავისუფლება, ჩვენს ახალგაზრდობას აქვს ბედნიერება, იცხოვროს ამგვარ თავისუფალ სივრცეში, რაც უფროს თაობას ნამდვილად არ ჰქონია, ანუ კრიტიკული აზროვნება, მხოლოდ კრიტიკას არ გულისხმობს, არამედ ეს არის ერთგვარად შტამპის რღვევა, საკითხზე მრავალმხრივი, მრავალწახნაგოვანი ფოკუსირება. ყველას აზრი მისაღები და პატივსაცემია, ამავე დროს, არსებობს რაღაც ოპტიმალური ვარიანტიც, ჩვენ ახალგაზრდებს აზროვნებასთან ერთად უნდა ჩამოვუყალიბოთ თანამშრომლობის, დემოკრატიულობის, ტოლერანტობის უნარი.

ნათელა–კრიტიკული აზროვნება არის საკითხის ღრმად ჩაწვდომა და მრავალი მხრიდან ყველაფრის შეხედვა ამა თუ იმ საკითხზე საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბება, ამასთანავე, სხვისი აზრიც უნდა იყოს მისაღები.

ნათია–პატარა ბავშვი სათამაშო იმიტომ კი არ ამტვრევს, რომ უხეშია, არამედ იმიტომ, რომ მას აინტერესებს, თუ რა არის შიგნით. კრიტიკული აზროვნებაც ანალოგიურია და ნიშნავს თემაში შიგნით ღრმად შეღწევას და მის გამოკვლევას.

რას გვეტყვით მასწავლებელთა სტატუსისა და ანაზღაურების შესახებ?

→

8 ←

ნანა–მე ვთვლი, რომ, მასწავლებელთა ანაზღაურება არ არის მასწავლებლის სტატუსის შესაბამისი. (თუმცა წინა პერიოდთან შედარებით წინსვლა შეინიშნება).

ნინო–მართალია ბოლო წლებში მასწავლებელს სამჯერ მოემატა ხელფასი, მაგრამ სამომხმარებლო კალათის ზრდის ფონზე, ეს არ ეტყობა მასწავლებლის ყულაბას.

სასურველია, მასწავლებელს ღირსეული ანაზღაურება ჰქონდეს, რათა მომავალმა თაობებმა ეს პროფესია პრესტიჟულად ჩათვალონ და სკოლას არ უგანონ.

ჩემი თაობის საუკეთესო მოსწავლეები პედაგოგიურ სასწავლებლებს ამთავრებდნენ, რასაც ვერ ვიტვით დღევანდელობაზე. მან შეიძლება მომავალში ცუდი რეზულტატი მოგვცეს.

ნათია–მასწავლებელმა რომ უპასუხოს იმ მოთხოვნებს, რასაც მას განათლების სამინისტრო უყენებს, მან ბევრი უნდა იმუშაოს, შეიძინოს ახალი ცოდნა. მთელი მისი დრო და ენერგია ამ საქმეს დაუთმოს. მაგრამ სამწუხაროდ, მასწავლებელს უწევს სხვა ყოფითი საკითხებზე ფიქრი, მოგვარება, დამატებითი სახსრების ძიება. ხელფასი შესაბამისი რომ იყოს, მას უფრო მეტი დრო ექნება თავისთავზე სამუშაოდ. სასიხარულოა, რომ ჩვენი მთავრობა ამ საკითხზე მუშაობს და შეიმჩნევა ხელფასების მომატების ტენდენცია.

და ბოლოს, რას გვეტყვით ჩვენი გაზეთის „ხობის მოამბე“-ს შესახებ, რომელი რუბრიკები მოგეწონათ, რა შენიშვნებს და რა წინადადებებს მოგვაწოდებდით?

მაგდანა–მინდა „ხობის მოამბეს“ კოლექტივს შემოქმედებითი წარატებები ვუსურვო.

სასურველია, გაზეთი უფრო მეტად იყოს ორენტირებული აქტუალური საკითხების გაშუქებაზე, საინტერესო თემების მოძიებაზე.

ვიოლეტა–თქვენს გაზეთს პოპულარობას ვუსურვებ. ამისათვის კი საჭიროა საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელთა ცხოვრების გაშუქება. გაზეთმა მკითხველამდე უნდა მიიტანოს რიგითი ადამიანების ტკივილი თუ სიხარული, დაუდგეს მათ გვერდში, არ შეუშინდეს კრიტიკას.

ნათია–სამწუხაროდ, თქვენს გაზეთს კარგად არ ვიცნობ, მაგრამ წარმატებებს გისურვებთ თქვენს საქმიანობაში.

ნინო–მივესალმები, რომ სკოლას კვლავ დაეთმო გაზეთის მნიშვნელოვანი ნაწილი. ვისურვებდი ამას სისტემატური ხასიათი მიეცეს. სკოლებში ბევრი საინტერესო რამ ხდება და სასურველია ეს ინფრმაცია მთელ მინიციპალიტეტში გავრცელდეს.

ჩვენი დიალოგი დასასრულს მიუახლოვდა, მიუხედავად იმისა, რომ დღეს მოწვეულ მასწავლებლებს თავიანთი მიღწევებით იცნობს საზოგადოება, ხელმძღვანელი ორგანოები, სულ სხვა კუთხით წარმოჩნდნენ ისინი. თითოეულმა მათგანმა ღირსეული ანაზღაურების, ახალი სასწავლო მასალების, მოსწავლეთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების საერთო სისტემის არარსებობის მიუხედავად (რომელიც ვარდების რევოლუციამდე იყო), სწორედ ამ მასწავლებლებმა მოახერხეს საკუთარი პროფესიისა და როლის, მასწავლებლის შრომისა და სტატუსის სოციალური ღირებულებების შენარჩუნება, დღეს ისინი მოსწავლეებს აძლევენ ისეთ განათლებას, რომელიც დაეხმარება მათ იყვნენ კონკურენტუნარიანნი შრომისა და განათლების საერთშორისო ბაზრებსა თუ სწავლების დონის საერთაშორისო შეფასებებში.

შემდგომ გამარჯვებებს გისურვებთ წარმატებულო პედაგოგებო!

მანანა შულაია

წარმატებებთან ერთად არის პრობლემებიც

რთულია მოამზადო საგაზეთო წერილი და იყო ობიექტური, როდესაც იგი შენს ახლობლებს, მეგობრებს, შენს კოლექტივს ეხება, თუმცა არ იქნება გადაჭარბებული, რომ თამამად განვაცხადო–ეს სკოლა განსხვავებული სკოლაა.

ყველაფერი კი ასე დაიწყო... 1989 წელს პირველად შევაღე ქვემო ქვალონის საჯარო სკოლის კარები, არა როგორც მოსწავლემ, მშობელმა, არამედ როგორც რელიგიის ისტორიისა და კულტურის მასწავლებელმა. გულისფანცქალით ველოდი სკოლის დირექტორთან და პედაგოგიურ კოლექტივთან შეხვედრას და მალე მეც ამ დიდებული, ღვთიური სიყვარულით აღჭურვილი კოლექტივის წევრი გავხდი.

თაობები ცვლიან ერთმანეთს, გადის დრო... მართალია საქართველო დღეს მრავალი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, სულიერი და სხვა პრობლემების წინაშე დგას, მაგრამ უმთავრესი მაინც ჩვენი ბავშვების აღზრდაა, რადგან ოჯახის კეთილდღეობა ჩვენი ხალხის, ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობაა, განათლებული თაობა კი საძირკველია მომავლის და სკოლებში თითქმის ყველა პირობაა შექმნილი მოსწავლის ფუნდამენტალური ცოდნის მისაღებად.

ქვემო ქვალონის საჯარო სკოლაში 2005 წელს შეიქმნა ორგანიზაცია „საქართველოს მომავალი ფერმერები“–პროექტი ხორციელდება ზურაბ ჟვანიას სახელობის საზოგადოებრივი ურთიერთობის ინსტიტუტის და ა.შ.შ. სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის თანადაფინანსებით.

ორგანიზაციამ საშუალება მისცა მოსწავლეებს ემუშავათ საინტერესო პროექტებზე. მათი შემოქმედების ნაყოფი კი კეთილ საქმეს ხმარდება–ქველმოქმედება, ექსკურსიები და ა.შ.

სწავლა, შრომა და ხალისიანი დასვენება–ასეთია ორგანიზაციის საქმიანობა. სკოლას ხშირად სტუმრობენ ამერიკიდან, მაგრამ ეს არ არის ყველაზე მთავარი. მთავარი კი ისაა, რომ ბავშვებს გააზრებული აქვთ „არაფერი ამშვენებს ვაჟკაცს ისე, როგორც შრომაში გამოჩენილი სიმამაცე“, რომ „შრომა უდიდესი სიქველეა ამქვეყნად“, იგრძნეს თუ რას ნიშნავს „უდიდესი სიამაყე შეუდგება გულს, როცა შემოქმედების შენი ნაყოფი ცას და მიწას დაამშვენებს“.

სკოლაში სამი მამოძრავებელი ძალაა–ოჯახი, სკოლა და საზოგადოება, სკოლის კედელთა სიძველეს ამშვენებს ხატების კუთხე, ანთებული კანდელით, რომელიც მოწიწებისა და სიმშვიდისკენ გიბიძგებთ.

სკოლაში ტრადიციად დამკვიდრდა ამერიკელ მოხალისეთა ჩამოსვლა, შარშან ანა ჯაკი გვსტუმრობდა. რომელმაც სინანულითა და სიყვარულით დატოვა ჩვენი სკოლა. წელს ალეიშა ბრიფინი გვსტუმრობს. სკოლის დირექტორი ლუარა ყალიჩავა კი უფრო დაწვრილებით მოგვიყვება სკოლის პრობლემებსა და ავ-კარგზე.

ქალბატონო ლუარა, როგორ შეაფასებდით მიმდინარე რეფორმებს განათლების სისტემაში?

– განათლების რეფორმა რთული სისტემაა, ბევრი რამ დროსთანაა დაკავშირებული. უტყუარი შემფასებელი დროა... რეფორმის ყველაზე დიდი წარმატება ერთიანი ეროვნული გამოცდებია, რომელმაც მოსპო სისტემაში არსებული ყველაზე დიდი პრობლემა–კორუფცია, აბიტურიენტებს საშუალება აქვთ თავიანთი ნიჭითა და ცოდნით ჩააბარონ უმაღლეს სასწავლებლებში, ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულები ყოველწლიურად წარმატებით აბარებენ ეროვნულ გამოცდებს და უმაღლეს სასწავლებლებში წარმატებულ სტუდენტებად ითვლებიან. სკოლამ სასწავლებლების რექტორატისაგან არაერთხელ მიიღო სამადლობელი ბარათი.

2009–2010 სასწავლო წელს ბევრი რამ შეიცვალა სასკოლო ცხოვრებაში. გაიზარდა სასკოლო ატესტატის მნიშვნელობა, დასწრება გახდა როგორც სავალდებულო კომპონენტი მოსწავლის შეფასებისას. იხვეწება ეროვნული სასწავლო გეგმა, მიმდინარეობს სახელმძღვანელოების ხარისხის გაუმჯობესება, ხდება უსაფრთხო სკოლის კონცეფციის დანერგვა. დაიწყო მასწავლებელთა სერთიფიცირება. ოქროსა და ვერცხლის მედლების შემოღებამ გაზარდა მოსწავლეთა მოტივაცია. ყველაზე აქტუალურ საკითხად სკოლის დამამთავრებელი გამოცდის შემოღება მიმაჩნია.

როგორ შეხვდა ატესტაციებს სკოლის პედაგოგიური კოლექტივი?

–მასწავლებელთა სერთიფიცირება 2014 წლამდე არის ნებაყოფლობითი, ვიმედოვნებ, სკოლის პედაგოგების უმეტესი ნაწილი წარმატებულად გაივლის სერთიფიცირებას.

რა შეიცვალა შეფასების სისტემაში?

–შეფასების სისტემა თანდათან მარტივდება. მიმდინარე სასწავლო წელს შეფასება გახდა სამკომპონენტიანი, ყველა კომპონენტს აქვს ერთიანი ხვედრითი წონა.

პრობლემები, რომელსაც აწყდებით სკოლის ცხოვრებაში?

–წარმატებებთან ერთად გვაქვს პრობლემები, რომელიც სხვადასხვა მიზეზებითაა გამოწვეული. ყველაზე დიდი პრობლემა სკოლისათვის არის სასკოლო შენობის არასაკმარისი ფართი (უკვე რამდენიმე წელია I-V კლასები განთავსებულია დროებით სარგებლობისათვის გადმოცემულ შენობაში), სპორტული დარბაზის უქონლობა.

როგორია თანამედროვე მოსწავლე–ახალგაზრდობა?

–დღევანდელი მოსწავლე–ახალგაზრდობა არის ნიჭიერი, მაგრამ ცოტა ზარმაცი, თამამი, გაბედული, კომუნიკაბელური, მათი უმრავლესობა საღად მოაზროვნეა, აქვთ გარეშე მოვლენებზე სწორი და სწრაფი რეაგირების უნარი. მათ არ მოსწონთ გათელილ გზაზე სიარული, არ ეშინიათ დაბრკოლებათა გადალახვის. იქით მიიჩქარიან, საითკენაც გული მიუწევთ.

რა გაშფოთებთ ყველაზე მეტად, როგორც ხელმძღვანელს და რისი იმედი გაქვთ?

სკოლა დიდი ოჯახია, ჩემი ყველა მოსწავლისათვის იგი წმინდა სავანეა, სადაც მათ შეუძლიათ აღსარება თქვან და იმედის სანთელიც აანთონ. მართვის დემოკრატიულმა პრინციპებმა საშუალება მისცა ყველა სკოლის დირექტორს თავისუფალი იყოს არჩევანში, განახორციელოს სწორი მენეჯმენტი.

როგორია თქვენი დღევანდელი დღე?

ყოველი დღე საოცრად დატვირთული, ერთმანეთისგან განსხვავებული. მოულოდნელობებითაა აღსავსე, ჩემი ყოველი დღე ჩემს მოსწავლეებს ეძღვნება. ღრმად მწამს, რომ სიკეთე სამოთხის კარს გააღებს, სიმდაბლე შიგ შეგიყვანს, სიყვარული კი ღმერთს დაგანახებს. მჯერა ხვალინდელი დღის, ნათელი მომავლის.

გამიგონია–მასწავლებელი მაშინ კვდება როცა ის სწავლას ამთავრებსო.

–გეთანხმებით, მასწავლებელს მანამ შეუძლია ასწავლოს სხვას, სანამ თვითონ ისწავლის.

რაზე ოცნებობს ქვემო ქვალონის საჯარო სკოლის დირექტორი?

–საქართველოს გამთლიანებაზე, მშვიდობიან ცხოვრებაზე, ახალგაზრდობის ნათელ მომავალზე, უსაფრთხო სკოლაზე. მომავალ თაობას მინდა ვურჩიო იყვნენ ღვთის მოშიშნი, გიყვარდეთ სიკეთე და სიმართლე. გახსოვდეთ: როდესაც კეთილ საქმეებს აკეთებთ, ერთი საფეხურით მაღლა ადიხართ, როცა სცოდავთ, ჩამოდიხართ, ასეთი სვლაა მთელი ცხოვრება.

* * *

მართალი ხართ ლუარა მასწავლებელო, თქვენი ყოველი სამუშაო დღე სტარტია, დღის ბოლო კი ფინიში, რომელიც გამარჯვებით მთავრდება, ამ გამარჯვების წყარო კი თქვენი თავდაუზოგავი შრომაა, ბავშვის სულის გასაღების ხელთპყრობაა. გისურვებთ ყველა სიკეთეს, იმისათვის რომ ღირსეულად გასწიოთ თქვენი ჭაპანი ქართველი ახალგაზრდობის აღზრდისთვის.

ალეიშა ბრიფინი და ინგლისური ენის პედაგოგი ნანა ლიტვინენკო

ცოტა რამ სკოლის ამერიკელ სტუმარზე

წარმოგვიდგინეთ თქვენი თავი?

–ალეიშა გრიფინი ამერიკიდან, ტეხასის შტატი, ქალაქი დაქასი. პროფესიით ბიზნეს კონსულტანტი. ამჟამად საკუთარი ბიზნესი მაქვს.

როგორ მოხვდით საქართველოში და კერძოდ ქვემო ქვალონის საჯარო სკოლაში?

–ინტერნეტში შემთხვევით წავაწყდი პროგრამას, რომელიც იყო სახელწოდებით „ვასწავლოთ საქართველოში“ და მომეცა შესაძლებლობა ჩემი ცოდნა გამომეყენებინა საზღვარგარეთ, კერძოდ, საქართველოში და განაწილებით აქ მოვხვდი.

როგორ მიგიღოთ კოლექტივმა?

–მეგობრულად, სიყვარულით და დიდი სითბოთი.

როგორ მოგწონთ ქართველი ბავშვები?

–მიყვარს ისინი და ვგრძნობ, რომ მონდომებულები არიან ისწავლონ ინგლისური ენა. არიან ნიჭიერნი, განათლებულნი, ზრდილობიანნი.

სიყვარულზე თუ მეტყოდით რამეს?

–შეყვარებული არა ვარ... (ქართველ ბიჭებს შანსი აქვთ).

შენი აუხდენელი ოცნება?

–აუხდენელი ოცნება არა მაქვს, რაზედაც ვოცნებობ, ყველაფერს ვისრულებ.

ხომ არ ნანობთ აქ ყოფნას?

–არანაირი პრობლემა არ მაქვს, არც ვნანობ, მხოლოდ ისაა, რომ ოჯახი მენატრება, მომწონს საქართველო, ხალხი აქ კეთილი, გულუხვი, თბილი და მოსიყვარულეა.

და ბოლოს–რას უსურვებთ ქართველ მოსწავლეებს?

–ამერიკელების და საერთოდ, უცხოელების აქ ყოფნით ქართველი ბავშვები სხვა ხალხის კულტურას და ტრადიციებს გაეცნობიან (ექნებათ ურთიერთგაცნობა) ვუსურვებ უკეთეს მომავალს და ბედნიერ ცხოვრებას. გმადლობთ ინტერვიუსთვის.

P.S. *ქალბატონი ლუარა გაცვლითი პროგრამით ატლანტაში ჯორჯიის უნივერსიტეტში არის მიწვეული*

...და ის 20 ოქტომბერს იუბილარია, გილოცავთ და გისურვებთ მარადიულ სიცოცხლეს ღვთისა და ერის სამსახურში. ღვთისმშობლის მადლი, უფლის კურთხევა თან დაგყოლოდეთ მრავალჟამიერ.

ლელა ლომაია

რისი ცოდნაც აუცილებლად დაგჭირდებათ

ხშირად, ჩვენი გაუცნობიერებლობის გამო, სხვადასხვა სამსახურებში საათობით გვიხდება რიგში დგომა, განმარტების მიღების შემდეგ კი ვხვდებით, რომ დრო სიახლეების არ ცოდნის გამო ფუჭად დავხარჯეთ, ამიტომ დღეიდან „ხობის მოამბე“ ეცდება მოგითხროთ ამა თუ იმ დარგში არსებულ სიახლეებზე, ამჯერად განმარტებები ვთხოვეთ „სს ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალის მმართველს ბატონ ***ლაჟვარდ ბუკიას.***

გთავაზობთ მიმდინარე სიახლეებს პედაგოგების და პენსიონერების საბანკო მომსახურებაში.

გაცნობებთ, რომ სახელფასე პროგრამაში ჩართული სკოლების პედაგოგებზე სესხების გაცემისას ს.ს. „ლიბერთი ბანკი“ გთავაზობთ ახალ გაუმჯობესებულ პირობებს:

კერძოდ:

1. კლიენტს შეუძლია სახელფასე სესხის მიღება იმ შემთხვევაში, თუ სხვა ბანკში აქვს 50 ლარამდე უარყოფითი საკრედიტო ისტორია (ძველი პირობებით ეს შეუძლებელი იყო);

2. კლიენტს შეუძლია სახელფასო ოვერდრაფტის მიღება იმ შემთხვევაში, თუ სხვა ბანკში აქვს 500 ლარამდე უარყოფითი საკრედიტო ისტორია (ძველი პირობებით ეს იყო შეუძლებელი);

3. კლიენტს შეუძლია განმეორებითი სესხის მიღება, თუ მას აქვს დაფარული არსებული სახელფასე სესხი მესამედი მაინც (ძველი პირობებით ჩვენ ვითხოვდით კლიენტისაგან არსებული სესხის ნახევრის დაფარვას მაინც);

4. კლიენტს შეუძლია სახელფასო სესხის ან ოვერდრაფტის მიღება იმ შემთხვევაში, თუ მის ანგარიშზე ფიქსირდება ხელფასის 1 ჩარიცხვა მაინც (ძველი პირობებით ჩვენ 3 ჩარიცხვას ვითხოვდით);

5. გარდა მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, როდესაც სახელფასე სესხის კლიენტზე გაცემა თავდებობის გარეშე ხდება, არაუზრუნველყოფილი სახელფასე სესხის მიღების მიზნით (ანუ 5.00 ლარამდე ან მაქსიმუმ 5–ხელფასის ოდენობამდე გარდა ზოგიერთი ორგანიზაციისა) კლიენტს ლიბერთი ბანკისთვის შეუძლია მხოლოდ (ერთი) პირის თავდებობის წარდგენა (ძველი პირობებით ჩვენ ვითხოვთ 2 თავდების წარდგენას);

6. კლიენტს შეუძლია ჩვენგან აიღოს სესხი თავდებობის გარეშე, თუ ეს სესხი ნაკლებია მის ორმაგ ხელფასზე, მაგრამ არ აღემატება 500 ლარს (ძველი პირობებით თავდებობის გარეშე სახელფასე სესხები საერთოდ არ გაიცემოდა);

7. კლიენტისათვის განისაზღვრა ინდივიდუალური კოეფიციენტები (PTI) რომელთა მიხედვით დგინდება კლიენტის ხელფასის ის მაქსიმალური წილი, რის დახარჯვაც არის დასაშვები სახელფასე სესხის დაფარვის მიზნით–ეს კოეფიციენტები განსხვავებულია და არის დამოკიდებული კლიენტის ხელფასის ოდენობაზე;

8. ბანკომატიდან მომსახურეობა უფასოა;

9. გაცემულ სესხებზე პროცენტის დარიცხვა იწარმოებს ანუიტეტის წესით (კლებადი პრინციპით–ყოველთვიურად დარჩენილ ნაშთზე იწარმოებს დარიცხვა) რის შემდეგ საპროცენტო წლიური განაკვეთი შეადგენს 15–16 %.

1. განურჩევლად იმისა, თუ რომელ ბანკში ერიცხება სერთიფიცირებულ მასწავლებელს ანაზღაურება, ბანკი მას სთავაზობს:

* Magik Card:

– წინასწარ დამტკიცებული 500 ლარიანი ლიმიტი

–წლიური –24.00%.

– ნულოვანი საკომისიო (სერთიფიცირებული პედაგოგები არ გადაიხდის 40 ლარს).

* ლიბერთი ანგარიშის საბაზისო პაკეტი:

– გახსნა უფასოდ

– ეროვნულ ვალუტაში, ნებისმიერი სახის ვადიან ანაბარზე დამატებული 1.00 % საპროცენტო სარგებელი (*ძ 7 ანაბრის გარდა*).

2. თუ სერტიფიცირებულ მასწავლებელს ანაზღაურება ერიცხება ლიბერთი ბანკში, ბანკი მას დამატებით სთავაზობს:

* სახელფასე სესხი, წლიური 18.00 % (ანუიტეტი).

* საბარათე ოვერდრაფტი, ხელფასის 100%-ის ოდენობით, წლიური 18.00%.

განმარტება
პენსიონერებისათვის

გრძელვადიანი საპენსიო სესხი წარმოადგენს სესხს, რომელიც შეუძლია მიიღოს ყველა იმ 85 წლამდე ასაკის ფიზიკურმა პირმა, რომელსაც ნებისმიერი სახის პენსია და პენსიის დანამატები ერიცხება ლიბერთი ბანკში.

სესხის მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტაცია

–პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

სესხზე განაცხადის განხილვის პირობები

სესხზე განაცხადი განიხილება, თუ:

– განმცხადებელს ერიცხება პენსია და საპენსიო დანამატები (შემდგომში „პენსია“) ლიბერთი ბანკში;

–განმცხადებლის ასაკი სესხის აღების მომენტში არ აღემატება 85 წელს;

– განმცხადებლის პენსია არ უნდა იყოს 80 ლარზე ნაკლები. ბანკი რისკების უკეთ დაზღვევის მიზნით მსესხებლის პენსიად ჩათვლის მის საპენსიო ბარათზე 3 (სამი) თვის განმავლობაში შესაბამისი ფონდებიდან ჩარიცხულ თანხებს შორის მინიმალურს;

– საპენსიო დანამატებში იგულისხმება:

* სამუშაო სტაჟის დანამატი;

* საოჯახო დანამატი;

* მერიის დანამატი;

* ელექტროენერგიის დანამატი;

– განაცხადის მიღების მომენტში მსესხებელს არ უნდა ჰქონდეს სხვა ტიპის სესხი ან უნდა ჰქონდეს გრძელვადიანი საპენსიო სესხი, რომლის გაცემის მომენტიდან გასულია მინიმუმ 3 (სამი) თვე–ასეთ შემთხვევაში გაიცემა გრძელვადიანი საპენსიო სესხის დამატებითი ტრანში;

– სესხი გაიცემა ავტომატურ რეჟიმში განმცხადებლის სიტყვიერი მოთხოვნის და საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე;

ბანკი არ არის ვალდებული ნებისმიერ შემთხვევაში დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სესხის მიღებაზე, კერძოდ, გარკვეული რისკ–ფაქტორების არსებობის და გამოვლინების შემთხვევაში ფილიალის მმართველს ან/და სერვის-ცენტრის მენეჯერს, საკრედიტო რისკების მართვის დაკრედიტების დეპარტამენტებთან შეთანხმებით უფლება აქვს არ დააკმაყოფილოს განაცხადი მოთხოვნილ სესხზე ან განახორციელოს განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი სესხის ვადიანობის ან/და თანხის კორექტირება.

სესხის მიზნობრიობა

გრძელვადიანი საპენსიო სესხი გაიცემა სესხის მიზნობრიობის დაზუსტების გარეშე.

სესხის პირობები

–გრძელვადიანი საპენსიო სესხი გაიცემა შემდეგი სქემით:

* განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევაში მსესხებელზე გაიცემა სესხის თავდაპირველი თანხა;

* თავდაპირველი თანხის მიღებიდან 3 (სამი) თვის გავლის შემდეგ მსესხებელს უფლება აქვს შეიტანოს განაცხადი სესხის დამატებითი თანხის მიღებაზე;

* გრძელვადიანი საპენსიო სესხის დამატებითი თანხის მიღება შეიძლება მრავალჯერადად, სანამ მსესხებელს შეუსრულდება 85 წელი. დამატებითი თანხების მიღების თარიღებს შორის ყოველთვის უნდა იყოს გასული მინიმუმ 3 (სამი) თვე;

–სესხი გაიცემა მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში;

–სესხის თავდაპირველი თანხა არ უნდა იყოს ნაკლები პენსიის სამმაგ ოდენობაზე, მინიმუმ 600 ლარზე;

– თავდაპირველი სესხის და ყოველი დამატებითი თანხის დაფარვის ვადა არის ფიქსირებულად 18 თვე.

P.S. *ახალი რუბრიკა თქვენს სამსახურშია. ველით შეკითხვებს თქვენთვის საინტერესო საკითხებზე. ვეცდებით, ამომწურავი პასუხები მოგაწოდოთ.*

რუბრიკას უძღვება
მერი ლაგვილავა

უფლების ტერმინალი-აღმოჩენებლობის მაგალითი

ყულევი – ეს ის ადგილია, სადაც მეორე საუკუნეში რომაელების მიერ მოკლულიქნა პონტოელი მონა ანიკეტი და მე-6 საუკუნეში ბიზანტიელების მიერ–სამეგრელოს მეფე გუბაზი.

ოდესღაც სწორედ სოფლის ამ მონაკვეთზე ბაზარი ყოფილა. აქ ლევან მე–4 დადიანსა და ქუთაისელ მოქალაქეს საწილოდ აუგიათ ხომალდი ხობის „ღვთისმშობლის“ სახელწოდებით.

ყულევს ან რედუტკალეს უძველესი და მდიდარი წარსული აქვს.

ყულევის ნავსადგურის აღწერა და მისი დაწვრილებით დახასიათება მოგვცა სპასკი ავტოროომოფმა, ის განმარტავს რედუტკალეს სახელწოდებასაც.

1804 წელს მდინარე ხობის შესართავთან რუსეთის ჯარის ნაწილები გადმოსხეს. მათ შექმნეს აქ ციხე-სიმაგრე რედუტი. მანამ მდინარე ცივის ხობისწყალთან შეერთების ადგილას არსებულა სამეგრელოს თავად ჯაიანის მიერ აგებული სათვალთვალო კოშკი, რომელიც კულედ ან ყულევად იწოდებოდა. ჯაიანის ძველმა კულემ და რუსეთის ახალმა რედუტმა მისცეს დღევანდელ ქალაქს რედუტკალეს სახელი. 1860 წლიდან განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ბაქო და თბილისი რკინიგზით ფოთს დაუკავშირდნენ, მეტი ყურადღება ექცევა ფოთს, ხოლო რედუტკალე ნელ-ნელა კარგავს თავის მნიშვნელობას, შემდგომში ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ ომის პერიოდში სოფლის მეტი ნაწილი დაიკავა სამხედრო ნაწილებმა, რასაც მოჰყვა მოსახლეობის ასახლება და სოფლის გამეჩხერიანება.

და აი 1999 წლის 8 სექტემბრის №1081 საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით ხელი მოეწერა ხობის რაიონის სოფელ ყულევში „ნავთობპროდუქტების საზღვაო ტერმინალის მშენებლობას“.

ყულევის მოსახლეობის საკეთილდღეოდ შემოვიდა 21-ე საუკუნე. 15 ოჯახი მოჰყვა ასახლებაში და შეყვანილიქნენ ახალაშენებულ სახლებში, ასევე გადაეცათ სოლიდური თანხებიც და დაურეგისტრირდათ მიწის ნაკვეთი და სახლები.

შპს ტერმინალის მიერ პირველ ეტაპად ნაყიდი 96 ჰექტარ ფართობზე გაშენდა ნავთობპროდუქტების ტერმინალი. ასევე, ტერმინალამდე მისასვლელად ჩქარი ტემპით გაშენდა რკინიგზა. დღეის მდგომარეობით დასაქმებულია ადგილობრივ მცხოვრებთა 70%, იმედი გვაქვს გენერალური დირექტორის ბატონ კ. გულიევის, რომ ის წლის ბოლომდე დარჩენილებსაც დაასაქმებს.

დღეს სოფელში არ ჭირს მიმოსვლა. დადის სამარშრუტო მიკროავტობუსი ყულევი–ფოთის მიმართულებით; მოძრაობენ ტერმინალში მუშავე მანქანებიც, რომლებიც გვიადვილებენ მიმოსვლას ხობამდე. ასევე ხობის მუნიციპალიტეტის დახმარებით სასმელ წყალს ვღებულობთ კვირაში 2-ჯერ. გვაქვს პრობლემებიც, რომლის გადაჭრაც ადგილზე შეიძლება. მე-18 საუკუნეში სოფელში ეკლესია ყოფილა გაშენებული, რომელიც მტერს დაუნგრევია, იმ ადგილას მოსახლეობის 170 კომლის 350 მაცხოვრებელი მოითხოვს პატარა „სალოცავის“ აშენებას, სოფლის დახმარებით. კარგი იქნება თუ გვექნება მთავრობის დახმარება ზემოთ აღნიშნულზე, შემდეგ კი ნამდვილად ვიტყვით, ყულევიდან მოჩანს 21-ე საუკუნე.

ლეილა კაკულია,
სპეციალისტი
ყულევის გამგეობაში



სულთათანა

სერაპიონ ცხადაია

გარდაიცვალა რაიონის საზოგადოების ღირსეული წარმომადგენელი სერაპიონ ლუკას ძე ცხადაია, იგი დაიბადა 1934 წლის 1 აპრილს, სოფელ ნოჯიხევში. ნოჯიხევის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორიის ფაკულტეტზე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ პენსიაზე გასვლამდე სხვადასხვა დროს მუშაობდა პირველი მაისის საშუალო სკოლაში ისტორიის მასწავლებლად, საქართველოს ალკა ხობის რაიკომის მეორე მდივნად, ზემო ქვალონის 7 წლიანი სკოლის დირექტორად, საქართველოს კპ ხობის რაიკომის ინსტრუქტორად, პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგედ. ხობის რაიონულ გაზეთ „კომუნიზმის მშენებელის“ რედაქტორად. საქართველოს კპ ხობის რაიკომის საორანიზაციო განყოფილების გამგედ. სოციალური უზრუნველყოფის ხობის რაიონის განყოფილების გამგედ. ხანგრძლივი და ბეჯითი მუშაობისათვის ბატონი სერაპიონ ცხადაია მრავალგზის იყო დაჯილდოებული მთავრობის სიგელებითა და მედლებით.

ყველგან, სადაც კი უმუშავნია, გამორჩეული იყო თავმდაბლობით, პროფესიონალიზმით. ამიტომაც ვისაც კი მასთან ურთიერთობა ჰქონია, მუდამ გაახსენდება მისი სითბო, კეთილშობილება, დიდსულოვნება.

გამორჩეული პიროვნების, კარგი ხელმძღვანელისა და მეგობრის სერაპიონ ცხადაიას ხსოვნა მუდამ დარჩება მისი ახლობლებისა და მეგობრების გულებში.

ნათელი დაადგეს მის ხსოვნას.

ხობის სოციალური მომსახურების სააგენტოს ხობის რაიონული განყოფილების თანამშრომლები.

გმადლობთ, კეთილო ადამიანო!

რედაქციელთა ცხოვრებაში მოულოდნელად შემოხვედით. ძალზე მეგობრული, კეთილშობილი და განათლებული პიროვნება ბრძანდებოდით. არც ისე დიდხანს იყავით ამ ლამაზი და შესანიშნავი შემოქმედებითი კოლექტივის ხელმძღვანელი.

ძალიან კარგად და თბილად მახსოვს განვლილი წლები. პუბლიცისტური წერილების წერა გეადვილებოდათ, პარტიულ გვერდებსაც უძღვებოდით... რაც მთავარია, შესანიშნავი „კორექტორი“ იყავით. თქვენს მიერ წაკითხულ გვერდებში მკითხველი ვერც გაუმართავ წინადადებას და ვერც კორექტურას იპოვნიდა.

მეგობრული იყავით, მით უფრო ჩემთვის. იმ წელიწადს ინსტიტუტში უნდა ჩამებარებინა. თქვენ ყველანაირად მეხმარებოდით. ჩემს გასაკეთებელსაც ითავსებდით. მეტყოდით, ოღონდაც ისწავლე და ეს ყველაფერი ჩემზე იყოსო...

ბევრჯერ მითქვამს თქვენთვის და ყველასთვის, რომ თქვენი დიდი მადლიერი ვიყავი. ამჯერადაც ისევ დიდ მადლობას გეუბნებით იმ წლებისათვის, როცა თქვენ ჩვენს გაზეთს რედაქტორობდით.

დიდი ხანი არ მენახეთ, არც თქვენს ავადმყოფობაზე მსმენია. მინდა დავიწყების ულმობელ მდინარებასა და მოგონებებს გამოვტაცო თქვენი, როგორც კარგი პიროვნების სახე და კიდევ ერთხელ გითხრათ, გმადლობთ, კარგო ადამიანო!

ნათელში იყოს თქვენი ლამაზი სული.

ღმერთი გფარავდეთ!

ნანი კილასონია.

ხსოვნა

ეკა მარშანია

ჩვენო საამაყო, სანატრელო და საყვარელო ეკა. მოვიდა 13 ოქტომბერი–ტირილით, გოდებით, ვაი-ვაგლახით. იმ დღიდან შვიდი წელი გავიდა. 30 წლის იყავი როცა განეშორე შენს შვილებს, მშობლებს, ძმას, ახლობლებს, მეგობრებს... მეუღლის გელა ჟვანიას ვერაგმა, დაუნდობელმა ხელმა დაგატოვებინა სულიერად წმინდანს, ოჯახის მოსიყვარულეს, პედაგოგს, მწიგნობარს ლამაზი სიცოცხლე. მადლის მთესველი ტყვიის მსხვერპლი გაგხადა...

ასეთი კარგი და სიკეთით სავსე სასიკვდილოდ რომ გაგიმეტა, მჯერა, ღმერთი არ შეუნდობს ამ დანაშაულს. ციხე მისთვის სამოთხეა.

შვილო ეკა, შენით მონატრებულები ზეციურ სასუფეველში გილოცავთ შვილის უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვას. შენმა უფროსმა ქალიშვილმა ეროვნული გამოცდები ჩააბარა და თბილისის უნივერსიტეტში მოეწყო. უმცროსი კი კოლეჯში სწავლობს.

შენმა მამიკომ, ტრაგედიით ტანჯულმა, უეცარი სიკვდილით ორ წელზე მეტია ზეციურ სასუფეველში გადაინაცვლა, გამასწრო. ჩემი გული კი ჯერ-ჯერობით ტანჯულად ფეთქავს, რომელიც დარჩენილებს ძალიან ჭირდებათ.

გვიყვარხართ, გვენატრები.

ღმერთმა ნათელში გვიმყოფოს შენი, მამაშენის, შენი ბიძა იურას სულები.

შვილები: მზეკა და სალომე, ტანჯული დედა ლია, ძმა ალიკა, რძალი ია.

ვახტანგ ლაგვილავა

მართლაც რომ წუთიერია ეს მიწიერი ცხოვრება. ორმოცი დღე შენი გარდაცვალებიდან. რა უცებ გავიდა. იყავი უზომოდ თბილი, სიკეთით აღსავსე მამა, ბაბუა, მეგობარი, მეზობელი... შენ ღირსეულად ატარე შენი წილი ჯვარი დედასთან ერთად. მთელი შენი ცხოვრება საუკეთესო ნიმუშად გამოადგება შთამომავლობას, შენს ჯიშსა და მოდგმას. დარწმუნებული იყავი შენს სახელს დავიწყება არასოდეს უწერია.

სულ რამდენიმე თვის წინ რა ბედნიერები ვიყავით. გინდოდა სიბერეში შენი შვილიშვილებისაგან დაღლილს, ღრმად მოხუცებულს სიამოვნებით დაგეტოვებინა საქაო, მაგრამ ასე არ მოხდა, აღარ დაგცალდა შვილიშვილის მოსიყვარულება. ამ ქვეყნად მხოლოდ პირველი შვილიშვილის სიყვარულით სავსე გული წაიღე.

ძალიან გვიჭირს უშენობა. პირნათლად გაიარე გზის ის მონაკვეთი, რომელიც განგებამ გიბოძა. კეთილო ადამიანო, შენთვის დავანთებთ უამრავ წმინდა სანთელს და ღმერთს შევავედრებთ, რომ თბილი და მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის მშობლიური მიწა. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

ელგუჯა, ვახტანგი, მაია ლაგვილავები.

ლეილა ტურავა

ძნელია დედის დაკარგვა, იგი მძიმე გადასატანია შვილებისათვის. რვა ათეული წელი მეუღლესთან ერთად იშრომა იმისათვის, რომ შვილებისათვის უმაღლესი განათლება მიეცა, შვილიშვილებისათვის სწავლაში ხელი შეეშველებინა, ჩვეულებრივ ტკბილ-მწარე ცხოვრებით ეცხოვრა. 5 შვილის მშობელი დედა წავიდა ჩვენგან. მეზობლების, ახლობლების და თავისი ოჯახის დიდი გულისტკივილი მიაცილებს მას ცათა სასუფევლისაკენ სავალ გზაზე.

დრო მიდის, ვიცვლებით ჩვენ, მაგრამ უცვლელია დედის ხსოვნა, რომელსაც ძალიან ვუფრთხილდებით და რომლითაც სუნთქვას და არსებობას აგრძელებს მისი დიდი ოჯახი. სწორედ ჩვენზე, შვილებსა და შვილიშვილებზე ზრუნვაში გაჩერდა მისი გული და დაგვტოვა.

გვენატრები და გულისტკივილით ვიგონებთ ერთად გატარებულ წლებს. იგი ხომ ყველასათვის სიკეთეს და სიყვარულს თესავდა.

დედა, გვიჭირს უშენობა, გვაკლია შენეული თანადგომა. მოგონებები ძალიან ბევრია. არ შეგვიძლია არ გამოვხატოთ მადლიერება შენი წარსული ცხოვრებისათვის. ახალგაზრდობიდან, პენსიაზე გასვლამდე ხეთის ამბულატორიის ექთანმა დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურე. 5 შვილისა და 10 შვილიშვილის ბებიას საზრუნავს რა გამოგლეკვდა, დღენიადაგ მათ ჯანმრთელობასა და განათლებაზე ზრუნავდი, რამაც შედეგიც გამოიღო. ისინიც საზოგადოების ღირსეული წევრები არიან.

თითოეული ჩვენთაგანისათვის საყვარელო დედა. მძიმე სენმა წაგვართვა შენი თავი, მაგრამ დარდს და ტკივილს გვიმსუბუქებს ის, რომ შენი სიცოცხლის ნებისმიერი დროით გახანგრძლივებისათვის უკანასკნელი წლების მანძილზე შენმა შვილებმა ყველაფერი გავაკეთეთ.

ღვთისმშობელი ფარავდეს შენს სულს, ჩვენო საყვარელო დედა.

ოჯახი

ღვაწლმოსილი



დღეს ძალიან იშვიათია ადამიანი, რომელსაც ამდენი წელი ერთგულად ემსახუროს ერთი საქმისთვის, ამდენი წელი, მიუხედავად ასაკისა, ირგვლივ მყოფთათვის მიეცეს მაგალითი შრომისმოყვარეობისა და პრინციპულობისა, რომელსაც ამდენი აღზრდილი ჰყოლოდეს და მათი ქომაგი და ყურისმგდებელი ყოფილიყოს.

ეს კი ექვსი ათეული წლის განმავლობაში მასწავლებლად მოღვაწეობის და არა მუშაობის, ლოგიკური შედეგია. ასეთი ადამიანი იყო ხობის №2 საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი ეთერ ბიწაძე. უდიდესი პატივითა და სიყვარულით იგონებენ მას კოლეგები.

ნანა ძიძარია:

წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი პედაგოგი, უფროსი მეგობარი და მასწავლებელი ეთერ ბიწაძე, რომელიც უანგაროდ, რუდუნებით ემსახურა მოსწავლე-ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის უმძიმეს, მაგრამ უკეთილშობილეს საქმეს.

თუკი მასწავლებელი მადლი და სიკეთეა, ხსნა და იმედი, ეს უშურველად და დამსახურებულად ეკუთვნის ჩვენს საამაყო წინამორბედს ეთერ მასწავლებელს. ხობის №2 საჯარო სკოლამ, სადაც ბოლომდე დაუზოგავად დახარჯა მისი პროფესიული უნარი, გამოცდილება და ენერგია, დააფასა იგი, როგორც საუკეთესო პედაგოგი და აღმზრდელი. ის იყო პედაგოგი, რომელიც მოსწავლეებზე ზრუნვაში ატარებდა ცხოვრების გზასავალს. უნაკლოდ აკეთებდა მაქსიმუმს იმისა, რაც შეეძლო და მოეთხოვებოდა. ქონდა ორგანიზატორული ნიჭი, ძიების, საქმის წვდომის დიდი ალღო და უნარი. საოცარი, ჯადოსნური ძალა მოსწავლეთა გულის დასაპყრობად. რამდენი გზასაცდენილი ახალგაზრდა დაუკვალიანებია და ჩაუყენებია პატიოსანი ცხოვრების ფერხულში. დიდი და კეთილი გულით ბევრს მოგიტევებდა, მაგრამ მინდობილი საქმისადმი ზერელე დამოკიდებულებას არავის აპატიებდა.

ლალი კიტია:

ქალბატონი ეთერი იყო მაგალითი მოსწავლეებთან უშურველი ურთიერთობისა, პედაგოგიური თავდადების, შემოქმედებითი წვის, მაღალი პროფესიონალიზმის, ინტელექტუალურობის. ყოველთვის გვაკვირვებდა თავის შრომისმოყვარეობითა და შედეგებით. თითქოს ძალიან მკაცრი და ამავე დროს უშუალოც იყო ბავშვებთან, საოცრად უყვარდა ყველა თავისი მოწაფე, რასაც ნებისმიერი მათგანი გრძნობდა და აფასებდა.

სკოლის გარეშე ვერ ძლებდა, მხოლოდ ერთი წელი აშორებდა სკოლას და ამ ხნის მანძილზე ერთი კვირაც არ ყოფილა, სკოლაში არ მოსულიყო, ან არ შეგვხმიანებოდა. ბავშვებიც სირბილით შეეგებებოდნენ სკოლის ჭიშკართან მოსულს და ერთად ამოაცილებდნენ ზედა სართულზე.

ცალკე საუბრის თემაა ეთერ ბიწაძის მიერ დიდი რუდუნებით შექმნილი სასკოლო ისტორიული მუზეუმი. მისი ექსპონანტები უნიკალურია და ყველა მნახველს აოცებს. ჩვენ დიდი პასუხისმგებლობა გვმართებს, ეს ნალოლიავები ისტორიული მასალა სხვა თაობებს შემოვუნახოთ.

ეთერ მასწავლებელო, თქვენ ჭეშმარიტად ვალმოხდილი ადამიანი ხართ. ჩვენ დავრჩით ვალში თქვენს წინაშე. კიდევ რამდენი რამის სწავლა, აღება შეიძლებოდა თქვენგან და ვერ მოვასწარით, გვეგონა, სულ გვერდით გვეყოლებოდით, გვაპატიეთ, რომ ამ ცხოვრების ორომტრიალში უფრო მეტად ვერ მოვიცალეთ, ვერ მოგეფერეთ...

უფალს ებარებოდეთ!

ლამარა კვარაცხელია:

ეთერ ბიწაძე–მის სახელთან ასოცირდება მგზნებარე ჰუმანიზმი, უდიდესი პედაგოგი, მოსწავლე-ახალგაზრდობის დიდი მეგობარი, შესანიშნავი დედა, ყოველი სააღმზრდელო საქმის ინიციატორი.

ქალბატონი ეთერი ყველას მზრუნველობდა. უდიდეს ყურადღებას უთმობდა ახალგაზრდა პედაგოგების დასპეციალიზების საქმეს. მოსწავლეებში თესავდა სიკეთის, კაცთმოყვარეობის, პატრიოტიზმის მარცვალს, რაიონში პირველმა დანერგა სასკოლო მუზეუმის შექმნის იდეა და მოსწავლეების დახმარებით დაასრულა კიდეც. ეს მუზეუმი დღითიდღე უფრო მეტ დიდებასა და სხივმოსილებას იძენს მასში არსებული საინტერესო ექსპონანტების გამო.

მან თავისი ცხოვრების საინტერესო წლები უშურველად შესწირა მოსწავლე-ახალგაზრდობის ღირსეულად აღზრდის საქმეს. აკი დაუფასდა კიდეც, სანამ მეორე სკოლა იარსებებს, მისი სახელი მარად უჭკნობი იქნება და შთამომავლობა მას მუდამ სიყვარულითა და მოწიწებით გაიხსენებს.

იამზე აბრალავა:

ეთერს ყველა ბავშვი კრძალვით ეკიდებოდა, მახსოვს კვირაში ერთხელ მოსწავლეებს ფილმს უჩვენებდნენ, საკმარისი იყო დარბაზში ეთერი შემოსულიყო, სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდებოდა, ასე იყო მოსწავლეთა და მშობელთა კრებებზე, თუმცა ეს იმას არ ნიშნავდა, რომ ეთერს მათთვის ყურადღებით არ მოესმინა.

ისტორიის კაბინეტი განსაკუთრებული იყო ყოველთვის, ოთახის დალაგებას, მასალების განთავსებას არავის ანდობდა, მხოლოდ თვითონ და მოსწავლეები აგვარებდნენ ამ საქმეს.

ხშირად აწყობდა ექსკურსია-ლაშქრობებს. განსაკუთრებული პედანტურობით გამოირჩეოდა.

ბევრ ტკივილს შეგვაგუა ცხოვრებამ

სულ ახალგაზრდამ დაიწყო მუშაობა მასწავლებლად ხობის პიონერთა და მოსწავლეთა სახლში. ამ სახლის დაარსების დღიდან სიცოცხლის ბოლო დღემდე ხელმძღვანელობდა ისტორია–მხარეთმცოდნეობის წრეს. იმთავითვე გამოირჩეოდა საქმის სიყვარულით.

ზოგისთვის ის ეთერ ბიწაძე გახლდათ, ზოგისთვის ეთერ მასწავლებელი ან ეთერი დეიდა... ბევრი მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის მემატიანეს უწოდებდა, მის ცოცხალ ისტორიას...

უანგარო, უშურველი, თავგამეტებული პედაგოგიური მოღვაწეობის 55 წელი უძღვებოდა მის მიერ შექმნილ ეთნოგრაფიულ მუზეუმს. საოცარი ალღო და უნარი გააჩნდა, ამოეცნო ბავშვის ყველაზე სათუთი, სულის კუნჭულში განსხვავებული აზრი, ნიჭიერება, შემოქმედებითი უნარი.

ემოციურს, ფუსფუსას, დაუდგრომელს უყვარდა საჯარო გამოსვლა. თავის ნაფიქრალ-ნაზრევისა და განცდილის მსმენელამდე მიტანა.

ამ სუსტ, კაფანდარა ქალს უშრეტი ენერგია, სიცოცხლის უსამანო წყურვილი და ხალისი ჰქონდა.

ის მთელი მისი მუშაობის განმავლობაში დაჰკანკალდება, ხვეწდა და აფრთიანებდა შემოქმედებითი ნიჭის უმცირეს ნიშანსაც კი... სულ შიშობდა, არავინ დარჩენოდა უყურადღებოდ, არავინ გამოეტოვებინა... თითოეულ ფურცელს, თითოეულ ისტორიული მნიშვნელობის ბუკარს სათუთად ინახავდა და მრავალგზის დაფურცვლილ უბის წიგნაკებში იწერდა თითოეული აღსაზრდელის სახელსა და გვარს... ყველა მათგანით ამაყობდა, საამაყო კი მართლაც ბევრი ჰქონდა. მისი აღსაზრდელები სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციებისა და კონკურსების მრავალგზის გამარჯვებულები არიან. ქვეყნის მასშტაბით შეუცვლელი ადგილი ეკავა, ერთ-ერთი პირველი იყო მისი ხელმძღვანელობით დამუშავებული თემებით, აკადემიის სიგელებითა და პირველი ხარისხის დიპლომების რაოდენობით.

ბოლო დროს სუსტად გრძნობდა თავს, მაგრამ სახლში არ ჩერდებოდა, მომავალი წლის საკონფერენციო თემებზე მის აღსაზრდელებთან კონსულტაციებს ატარებდა, თუმცა არ დასცალდა...

წავიდა ჩვენგან თავის საქმეზე შეყვარებული მხცოვანი, ამაგდარი მასწავლებელი.

„... მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ. სახელი არ დარჩენიაო“,–ბრძანებდა დიდი ილია. ქალბატონმა ეთერმა ისეთი სახელი დატოვა, რომელიც სამუდამოდ დარჩება მისი მეგობრების, კოლეგების, აღსაზრდელების გულსა და ხსოვნაში.

მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლის თანამშრომლები.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის თანამშრომლები თანაუგრძნობენ გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახურის უფროსს შორენა კანკიას და მის მეუღლეს ალეგრა ბუკიას დედამთილისა და დედის

ფლორა ლატარიას

გარდაცვალების გამო.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა თანაუგრძნობენ მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების უფროსს ქალბატონ ნათელა ალანიას მეუღლის

ნაპო ლომაიას

გარდაცვალების გამო.

შპს „ხობის მოამბის“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების უფროსს ქალბატონ ნათელა ალანიას მეუღლის

ნაპო ლომაიას

გარდაცვალების გამო.

ხობის №2 საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე სკოლის პედაგოგი

ეთერ ბიწაძე

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

ხობის მუნიციპალიტეტის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის კოლექტივი თანაუგრძნობს ნათელა ალანიას მეუღლის

ნაპო ლომაიას

გარდაცვალების გამო.

გურამი, ნუგზარი, მადონა ლატარიები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ფლორა ალეს ასული ლატარია

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ თინა ფილიპიას ძმის,

ემზარ ფილიპიას

გარდაცვეალების გამო.

მეუღლე ნათელა ალანია, შვილიშვილი გიორგი. დეიდაშვილი ოთარ კობახიძე ოჯახით. ცოლისდა ირა, ცოლისძმა დემნა, ცოლისძმიშვილები მაკა და კახა ალანიები, ცოლისდისშვილები ნაირა, მერი, ბესიკ კვესელავები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნაპო ლომაია

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი იუწყება ისტორისა და მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელის

ეთერ ბიწაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

რამისი, ავთა, ლეილა, ნარგიზა, ეთერ კემულარიები ოჯახებით იუწყებიან მამიდაშვილის

თენგიზ გაგუას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

სპორტი

ხობელი მოჭადრაკეები ევროპის პირველობაზე

30 სექტემბერს ქ. ბათუმში დამთავრდა ევროპის პირველობა ჭადრაკში 8-18 წლის გოგონათა და ჭაბუკთა შორის, სადაც მონაწილეობას ღებულობდა ევროპის 34 ქვეყნის წარმომადგენელი. ტურნირში მონაწილეობდა ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის სასპორტო სკოლის ჭადრაკის ჯგუფის 7 მოჭადრაკე: მარიამ და მეგი ჭაჭიები, გიორგი ლატარია, დიმიტრი ლომაია, ლუკა შამუგია, ამირან შონია, მერაბ დოლბაია.

14 წლამდე მოჭადრაკეთა შორის ნორჩმა მოჭადრაკემ მარიამ ჭაჭიამ 20 საუკეთესოთა შორის 4.5 ქულით დაიმკვიდრა ადგილი. მან მოუგო საფრანგეთის, თურქეთისა და საბერძნეთის ჩემპიონ თანატოლ გოგონებს, რამაც მას საშუალება მისცა მიეღო მოწვევები მაღალი რანგის საერთაშორისო ტურნირებიდან.

შვიდივე მოჭადრაკე დაჯილდოვდა ფიდეს სამახსოვრო მედლით და საერთაშორისო საჭადრაკო სერთიფიკატით.

ფეხბურთი

საინტერესო თამაშები

6 სექტემბერს, ქ. ხობში დათა ხურცილავას სახელობის სტადიონზე, მინი ფეხბურთში სტარტი აიღო ხობის მუნიციპალიტეტის პირველობამ წარმოება–დაწესებულებებს შორის. იგი სოფელ ხურჩაში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ტრაგიკულად დაღუპული პოლიციელის, რამაზ კიტიას სახელობის თასს მიეძღვნა.

შეჯიბრებაში 8 გუნდი იღებდა მონაწილეობას, რომლებიც განთესილნი იყვნენ ორ ქვეჯგუფად.

A ჯგუფში ასპარეზობდნენ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს, შპს „შარაგზამშენის“, დაცვის პოლიციისა და ჯანდაცვის ფეხბურთელთა გუნდები, B ჯგუფში გამოდიოდნენ: მუნიციპალიტეტის გამგეობის, სახანძრო–სამაშველო სამსახურის, პოლიციის სამმართველოსა და შპს „ხობის დასუფთავებისა და განათების გუნდები.

დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ გამოვლინდნენ ნახევარფინალისტები. ა ჯგუფიდან ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს „შარაგზამშენისა“ და ჯანდაცვის გუნდებმა, B ჯგუფიდან კი სახანძრო–სამაშველო სამსახურისა და გამგეობის ფეხბურთელებმა.

ნახევარფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ: სახანძრო–სამაშველო სამსახური–ჯანდაცვა; „შარაგზამშენი“–გამგეობა;

სახანძროსა და ჯანდაცვის ფეხბურთელთა გუნდების მატჩში თავიდან ჯანდაცვის გუნდი დაწინაურდა, ისინი 3 : 2-ს იგებდნენ მატჩის ბოლო წუთამდე, მაგრამ ვერ შეძლეს ანგარიშის შენარჩუნება და მეხანძრეებმა შეძლეს მატჩის გათანაბრება. ამრიგად, მატჩი დამთავრდა ფრედ–3:3. დაინიშნა პენალტების სერია, სადაც უძლიერესი აღმოჩნდნენ სახანძროს ფეხბურთელები (4:3), და ამით მათ ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს.

მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ „შარაგზამშენისა“ და გამგეობის ფეხბურთელები, მატჩი დაძაბულად წარიმართა. ორივე გუნდი სახიფათო მომენტებს ქმნიდა მეტოქის კართან, მაგრამ მეკარეებმა გიორგი გაწერელიამ და ვიტალი ჟვანიამ თავიანთი კარები მშრალად შეინახეს. ამრიგად, მატჩის ძირითადი დრო ფრედ 0:0 დამთავრდა. პენალტების სერიაში გამგეობის ფეხბურთელთა გუნდის მეკარემ გიორგი გაწერელიამ შეძლო პენალტის მოგერიება და თავისი გუნდი გაიყვანა ფინალში (პენალტების სერიაში გამგეობის გუნდმა 2:0 გაიმარჯვა).

21 სექტემბერს სოფელ ახალ ხიბულაში რამაზ კიტიას სახელობის სტადიონზე ფინალური მატჩი ჩატარდა. მესამე ადგილისათვის მატჩში ერთმანეთს „შარაგზამშენისა“ და ჯანდაცვის გუნდები უნდა შეხვედროდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯანდაცვის გუნდის ფეხბურთელები თამაშზე არ გამოცხადდნენ და მათ წაგება 0:3 ჩაეთვალათ; ამრიგად, მესამე ადგილი ერგო „შარაგზამშენის“ ფეხბურთელთა გუნდს (დირექტორი გულად ბერაია), მთ. მწვრთნელი ზურაბ ლოლუა), რომელთაც მესამე ადგილისათვის განკუთვნილი თასი და სიგელი გადაეცათ.

ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ გამგეობისა და სახანძროს ფეხბურთელები. მატჩის პირველი ნახევარში აქტიურობდნენ გამგეობის ფეხბურთელთა გუნდის წევრები. მათ გოლების გატანა შეეძლოთ, მაგრამ... პირველი ნახევარი დამთავრდა ფრედ 0:0, მეორე ტაიმის დასაწყისიდან კი გააქტიურდნენ მეხანძრეები და მრავალი სახიფათო მომენტი შექმნეს მოწინააღმდეგის კართან, მაგრამ კვლავ საუკეთესოდ ირჯებოდა გამგეობის ფეხბურთელთა გუნდის მეკარე გიორგი გაწერელია. მან ორჯერ ბრწყინვალე ნახტომში აშკარა გოლებისაგნ იხსნა საკუთარი კარი, თუმცა მატჩის დამთავრებამდე 2 წუთით ადრე მცველთა უყურადღებოდ დარჩენილმა მეხანძრეთა თავდამსხმელმა პაატა შუშანიამ შესძლო გოლის გატანა, რომელიც გადამწყვეტი აღმოჩნდა, მატჩი დამთავრდა 1:0 სახანძრო-სამაშველო სამსახურის ფეხბურთელთა გუნდის გამარჯვებით.

ამრიგად, რამაზ კიტიას სახელობის თასის მფლობელი გახდა სახანძრო-სამაშველო სამსახურის ფეხბურთელთა გუნდი. (სამსახურის უფროსი გოჩა არაჩემია, მთავარი მწვრთნელი თეიმურაზ ბებურია). მათ რამაზის სახელობის თასი და სიგელი გადაეცათ, აგრეთვე გადაეცათ მუნიციპალიტეტის ლტოლვილთა მიერ დაწესებული თასი.

მეორე ადგილზე გავიდა მუნიციპალიტეტრის გამგეობის ფეხბურთელთა გუნდი (მთ. მწვრთნელი იური ბუკია), მათ მეორე ადგილისთვის განკუთვნილი თასი და სიგელი გადაეცათ.

ტურნირზე სხვადასხვა ნომინაციაში საუკეთესო ფეხბურთელებისათვის დაწესებული იყო პრიზები: საუკეთესო მეკარედ ერთხმად აღიარეს გიორგი გაწერელია (გამგეობა); საკეთესო მცველი გახდა შოთა მიქავა (სახანძრო); საუკეთესო ნახევარმცველი ირაკლი სახურია (შარაგზმშენი); საუკეთესო თავდამსხმელი ვალერიან ლატარია (გამგეობა); საუკეთესო ბომბარდირი–გიგა დანელია (გამგეობა); ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს –პაატა შუშანია (სახანძრო).

აღსანიშნავია, რომ გამგეობის ფეხბურთელებმა გიორგი გაწერელიამ და გიგა დანელიამ თავიანთი პრიზები (სათამაშო ბურთები) საჩუქრად რამაზ კიტიას ტყუპ ვაჟკაცებს გადასცეს. ასევე გამგეობის ფეხბურთელთა გუნდმა შარშანდელი ტურნირის გამარჯვებისთვის დაწესებული თასი სამახსოვროდ ბატონ რამაზის ოჯახს გადასცა.

ტურნირი ორგანიზებული და დაფინანსებული იყო ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის, კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ (სამსახურის უფროსი ქალბატონი ჯულიეტა ქვარაია).

ტურნირს ბრწყინვალედ მოემსახურა ახალგაზრდა მსაჯი ზურაბ ტაბაღუა, რომელმაც ფეხბურთელებში და გულშემატკივრებში დიდი მოწონება დაიმსახურა. შეჯიბრების ორგანიზატორები მადლობას უხდიან მას ასეთი თანადგომისათვის.

ტურნირის დამთავრების შემდეგ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ, მონაწილე ფეხბურთელებმა და დამსწრე საზოგადოებამ ყვავილებით შეამკეს რამაზ კიტიას საფლავი.

ლევან ლემონჯავა.

ჩვენ და მკითხველი

ჩემო მკითხველო!

ჩვენი ურთიერთობები ათეულ წლების მოიცავს. გაზეთი ყოველთვის ცდილობდა ეცხოვრა ხალხის ცხოვრებით, გამოექვეყნებინა მასალები გაკეთებულსა თუ გასაკეთებელ საქმეებზე, არ გაუორჩენდა არცერთი ნიუანსი, არ ჩამორჩენდა ცხოვრების რიტმს.

მკითხველო, ისიც იცით, რომ გაზეთმა დიდი შეხვევა იცის. ეჩვევი, გიყვარს, განიცდი და როცა ის შენს გულშია, გრძნობ უნდა იბრძოლო მისი სახელისათვის. ის ხომ შენი ქვეყნის, შენი ძუნიციპალიტეტის სახეა. კითხულობ შენთვის საინტერესო მასალებს, წვდები მის არსში და გრძნობ, რომ ის შენთვის უფრო ახლობელი და საყვარელი ხდება.

გაზეთმა, რომელსაც თქვენ ასე სულმოუთქენლად ელით და რომელიც აძჯერად თქვენს წინაშეა, დაარსებიდან დღემდე დიდი და მკაცრი გზა გამოიარა. დროის შესაბამისად იყო მებრძოლი, შეუბოვარი, ქვეყნისა და ხალხის ინტერესების დამცველი.

გადიოდა წლები და გაზეთი უფრო და უფრო ინყეწებოდა. იცვლებოდნენ რედაქტორები, ეკონომისტები... ხობელთა ბედნიერ ორგანოს შემფასებელიც ბევადა, ვინ როგორ აფასებდა? ძველ ბერძნებს უთქვამთ: „ღმერთი მას აბრძავებს, ვისაც დანახვა არ უნდაო“. ამ სიბრძნეს კი კომენტარი არ სჭირდება...

იცვლება დრო, იცვლება გაზეთი. ამჯერად სახელწოდება „ახალი საქართველო“, კვლავ „ხობის მოამბე“ – თი შეიცვალა. ძუშაობაც ახალი პათოსით გაგრძელდა.

არის ახლებური გარეწყობა, ახლებური ძალისხმევა.

ჩემო მკითხველო, საქმისჯავრზე კიდევ ერთი ახალი ნომერია, ახალი თუ ძველი სახეებით. ეცდილობთ, კიდევ უფრო შეეფასოთ, დაეხვეწოთ და როგორც ყოველთვის, ვის-ურვებდი „ხობის მოამბე“, ყველა ოჯახის სასურველი სტუმარი იყოს.

გაზეთი თქვენგან მხარდაჭერასა და ყურადღებას ითხოვს. ველით ახალ წინადადებებს, მოსაზრებებს, რჩევებს, რუბრიკებს, წერილებს... და გვჯერა, გაზეთი სახეშეცვლილი და თქვენთვის უფრო სასურველი გახდება.

მკითხველო! მაშ ერთად, ერთი ძრწამსით, ერთი იდეით გავაგრძელოთ გაზეთის 70 წლიანი გზა.

გვჯერა, ეს გზა საახლოების, უკეთესობისაკენ ლტოლვით იქნება გაჯერებული.

გაზეთი „ხობის მოამბე“

მოლოცვები

ანი აგირკგელიას!

გილოცავ დაბადების დღეს, ორი წლის გახდი ჩემს ისტ-ოხლეგ, უფალს გოხოგ უხვად დაგანათლოს ჯანმრთელობა, სიხარული და სიკეთე.

ლია გეგო

გოგი გუკიას!

ორი წლის გახდი, გილოცავთ! გაიგაძდე, გაგუას მოსახილეგ, შენი ოჯახის სასახელოდ. გაახარე შენი მფოგლეგისა და გეგოს-ჩგენი პოლეგის და მეგობრის ნანი კილასონიას გული.

გგიყვარხარ გოგიჩა, შენ ჩგენი სიხარულიხ ხარ.

რედაქციელები

მაცხოებელი!

ქირავდება ან იყიდება 2 სართულიანი იზოლირებული (400კვ/მ) საოფისე ფართი. ქ. ხობის ცენტრში. ტელ: 855-90-14-90

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.
გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“

დირექტორის
მოვალეობის
შემსრულებელი
ნატო ლომაია
რედაქტორი
მანანა შულაია
ნომრის მორიგე
ნანი კილასონია
პასუხისმგებელი მდივანი
მერი ლაგვილავა

დამკაბადონებელი
ჯულიეტა ლატარია
მის: ხობი, სტალინის ქუჩა №1
ტელ: 8 (214) 2-21-13; 2-25-81;
855-119-900
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა
შპს „ხობის მოამბე“-ში.
დაიბეჭდა შ.პ.ს.
გამომცემლობა „კოლორში“.
თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით